ახალი განათლება

07-13.11.2019

№34 (868) გამოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

2

ლალი თვალაბეიშვილი

პროექტი, რომელმაც ჩვენი მომავალი უნდა შეცვალოს

✓ *ჩვენი მიზანია, შევქმნათ ეფექტიანი პლატფორმა სასკოლო კური-კულუმების გასავითარებლად, რადგან სანამ ჩვენი მასწავლებლები სხვის მიერ შემუშავებულ პროგრამებზე იქნებიან დამოკიდებულნი, ვითარება ვერ გამოსწორდება. ეს უნდა დამთავრდეს.*

✓ *თუ სკოლას ვერ გადავაქცევთ მოზარდების შემეცნებითი და შემოქმედებითი ძალების ასპარეზად, თუ მომდევნო 10 წელიწადში ვერ შევცვლით ამ ვითარებას, ჩვენი ერი ვერ გაუძლებს იმ ზეწოლასა და გამოწვევებს, რომლებიც თითოეული ქვეყნის წინაშე დგას თანამედროვე ეპოქაში.*

თამარ ჯაყელი

6

ირაკლი თავაძე

ადამიანმა უნდა დაამშვენოს ტიტული და არა პირიქით

სტუმარი ეთერ ლიპარტელიანი – პირველი ქართველი მსოფლიო ჩემპიონი ქალი ძიუდოში

ძიუდო ჩემთვის ყველაფერია: პროფესიაც, გატაცებაც, სიყვარულიც და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ წილად მერგო, დავწერო ქართული ძიუდოს ისტორია.

2

ლალი ჯელაძე

მშობელი ყველაზე დიდი ძალაა, განათლებული მშობელი კი – შვილის განვითარების გარანტი!

ახალი სკოლის მოდელი

პროექტი, რომელმაც ჩვენი მომავალი უნდა შეცვალოს

ლალი თვალაბეიშვილი

დღეისათვის, „ახალი სკოლის მოდელის“ პილოტირებაში 165 საჯარო სკოლაა ჩართული. როგორც განათლების სისტემაში გატარებულ ყველა რეფორმას, ამ მოდელსაც ორი ძირითადი მიზანი აქვს: სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და სკოლაში ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც კარგი ადამიანისა და მოქალაქის აღზრდას შეუწყობს ხელს. ყურადღება გადატანილია ხარისხობრივ სწავლებაზე და არა – რაოდენობრივზე, გააზრებულ ცოდნაზე და არა – დამახსოვრება-დაზეპირებაზე. მოსწავლე მსჯელობს, ასაბუთებს, ეძებს არგუმენტებს და გამოაქვს დასკვნა; მნიშვნელოვანია გუნდური მუშაობის პრინციპები, ურთიერთსაპირისპირო აზრების გაცვლა, ერთმანეთის მოსმენა, სხვისი აზრის გაზიარება – სწორედ ამ უნარ-ჩვევებს ეუფლებიან ბავშვები.

ახალი მოდელის ერთ-ერთი მიზანი, ასევე, სწავლა-სწავლების პროცესში ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება და 21-ე საუკუნის ბავშვების კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილების სასწავლო პროცესში გამოყენებაა. ახალი სკოლის მოდელი ხელს უწყობს მიზანზე ორიენტირებულ სწავლებას და მასწავლებელს საშუალებას აძლევს, დროში შეუზღუდავად დაგეგმოს საგაკვეთილო აქტივობები.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი **მიხეილ ბატიაშვილი**, „ზოგადი განათლების რეფორმის მხარდამჭერი“ პროგრამის განმახორციელებელ გუნდთან ერთად, იმ სკოლების დირექტორებსა და მასწავლებლებს შეხვდა, სადაც „ახალი სკოლის მოდელი“ ინერგება და ამ მოდელის მნიშვნელობაზე ესაუბრა. მან აღნიშნა, რომ განათლების სისტემამ, XXI საუკუნის გამოწვევათა დასაძლევად, შესაბამისი ცოდნა უნდა მისცეს მოსწავლეებს, ამისათვის კი გარდაუვალია საგანმანათლებლო მიდგომების შეცვლა. აუცილებელია სკოლებში პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბება, რომელიც ყველა მოზარდს საკუთარი პოტენციალის რეალიზების შესაძლებლობას მისცემს. სწავლების მთავარი მიზანი არა მხოლოდ ცოდნის გადაცემა უნდა იყოს, არამედ მოსწავლეებში კრიტიკული, კომპლექსური აზროვნების განვითარება. *„ამ მიზნის განხორციელება კი პედაგოგის გარეშე შეუძლებელია, რეფორმის მთავარი ძალა მასწავლებელია,* – განაცხადა მიხეილ ბატიაშვილმა, – *პროექტის მიმდინარეობის პროცესში დირექტორთა და პედაგოგთა მონდომებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია შესაძლებელი კარგი შედეგის მიღწევა. მინდოდა მეთხოვა, რომ თქვენც იგრძნოთ პასუხისმგებლობა, ყველანაირად შეგიწყობთ ხელს, ამავე დროს, მოვითხოვთ, რომ 165-ივე სკოლის თითოეულ კლასში თითოეული ბავშვის დონეზე დავინახოთ შედეგი. ერთად უნდა დავამტკიცოთ, რომ ამის გაკეთება შეგვიძლია.“*

მინისტრმა აღნიშნა, რომ „ახალი სკოლის მოდელი“ რეფორმის მთავარი ღერძია, მას ალტერნატივა არ აქვს და ამ პროექტის წარმატებაზეა დამოკიდებული რამდენად წარმატებული იქნება მიმდინარე რეფორმა. *„ვერც სახელმძღვანელოები, ვერც გარემონტებული კედლები რეფორმის წარმატებას ვერ განაპირობებს. რა თქმა უნდა, ესეც აუცილებელია და მნიშვნელოვანი, მაგრამ ყველაზე მეტად გვაინტერესებს, რომ „ახალი სკოლის მოდელის“ პილოტირების შედეგი გვქონდეს 100%-იანი. არ უნდა დავიზაროთ და ყოველდღიური შრომით ეს ყველაფერი ბოლომდე მივიყვანოთ.“*

მინისტრის მოადგილემ, **ირინა აბულაძემ** აღნიშნა: *„თუ სკოლის ბაზაზე არ მოხდა ინტერვენცია და არ ვიმოქმედეთ საკლასო ოთახის დონეზე, წლების განმავლობაში მხოლოდ ტრენინგების ჩატარებამ, ვხედავთ, რომ ცოტათი წაგვწია წინ და ამდენი დასაკარგი დრო კი ნამდვილად არ გვაქვს. ჩვენ, თქვენთან ერთად, ისტორიულ პროცესში ვართ არა მხოლოდ კონკრეტულად ამ პროექტის მიმართულებით, არამედ ზოგადად იმიტომ, რომ ეს მასშტაბური პროცესია. ერთად დიდი საქმეების კეთება შეგვიძლია.*

კარგად ვაცნობიერებთ თქვენს კომპლექსურ და მნიშვნელოვან როლს. პროექტის ფარგლებში დავინახეთ, რომ ის სკოლა, სადაც დირექტორი მოტივირებულია და ძალიან სწორად აკეთებს აქცენტს თავის გუნდზე, ბევრად უფრო წარმატებულია. დირექტორს მნიშვნელოვანი როლი აკისრია, ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ მას ჰქონდეს წამყვანი როლი მონაფეების ორგანიზებასა და ამ პროცესების თან მიყოლაში. არ გვინდა, დირექტორი ცალკე დარჩეს და სამინისტროს გუნდი (კოორდინატორი თუ ექსპერტი) იყოს პასუხისმგებელი იმაზე, რაც სკოლაში ხდება. თუ რაღაც არ გამოდის, ეს დირექტორმა მყისიერად უნდა იგრძნოს, განიხილოს ჩვენს ჯგუფთან და ერთად იმსჯელონ, რა განსხვავებული მიდგომებია საჭირო.

ყველა სკოლა ინდივიდუალურია, სხვადასხვანაირი კულტურაა, განსხვავებული თემი და შესაბამისად, უნიფიცირებული მოდელები არ მუშაობს. სწორედ ამიტომაც ვახორციელებთ ამ პროექტს, რომ თქვენზე მორგებული მოდელი დაინერგოს სკოლაში. ღია ვართ თანამშრომლობისთვის. გაზაფხულისთვის, აუცილებლად წარმოგიდგენთ პილოტირების შედეგებს, როდესაც პირველ 50 სკოლაში კვლევის პროცესები დასრულდება. ვიცი, რომ უკვე მიიღეთ პირველადი შეფასების შედეგები, თქვენი სკოლების ინდივიდუალური პროფაილების მიხედვით, რომ ნახოთ, სად არის ჩავარდნები, რაზეც უნდა გააკეთოთ აქცენტი. დარწმუნებული ვარ, ეს ინფორმაცია დაგეხმარებათ.“

მინისტრის მოადგილემ მცირე განმარტება გააკეთა მეოთხე-მეექვსე კლასების შეფასების კომპონენტზე და აღნიშნა, რომ სოციალურ მედიაში, ამასთან დაკავშირებით, იყო აზრთა სხვადასხვაობა. ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს არ არის გამოცდები და ამის გამო დირექტორები სკოლებიდან არ მოიხსნებიან (იყო ასეთი პრაქტიკა, გემახსოვრებათ), ეს არის შეფასება განვითარებისთვის, ერთგვარი დამატებითი ინსტრუმენტი. *„პირველ ეტაპზე, ქართულსა და მათემატიკაზე ვსაუბრობთ, რაც საერთაშორისო გამოცდილებაა და ბევრ ქვეყანას მხოლოდ ამ ორ საგანში – მშობლიური ენა და მათემატიკა – აქვს შეფასებები. კვლევებით დადგენილია, რომ თუ ამ მიმართულებით კომპეტენციები მაღალია, მოსწავლეები სხვა საგნებშიც წარმატებულები არიან. ამიტომ, არავინ მიიღოს ეს, როგორც რომელიმე საგნის დისკრედიტაცია. შემდეგ ეტაპზე, ვფიქრობთ ანალოგიური შეფასება გავაკეთოთ მე-10 კლასში, ეს ალბათ უფრო 2021 წელს. ასე რომ, ესეც დამატებითი ინსტრუმენტი იქნება იმისთვის, რომ იგრძნოთ თქვენი მოსწავლეების სუსტი წერტილები და უკვე, ჩვენ მიერ ინიცირებული პროექტის ხელშეწყობით, გაუმჯობესოთ მათი შედეგები.“*

დირექტორებს მიმართა, ასევე, ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარების ექსპერტმა, **თამარ ჯაყელმა**, რომელიც, სიტყვის დასაწყისში, ერთ-ერთი ექსპერტის მიერ გაკეთებულ კომენტარს გამოეხმაურა: *„ორი-სამი დღის წინ დაიბეჭდა ერთ-ერთი ექსპერტის კომენტარი, რომელშიც უკმაყოფილებაა გამოთქმული, ასეთი მასშტაბური პროექტია და რა ცოტა ადამიანი მონაწილეობსო. ვსვამ კითხვას: რატომ თქვა მან ეს? ამ პროექტში ჩართული ვართ, სულ მცირე, 4 ათასი ადამიანი, რომლებიც ერთად ვმუშაობთ და, ფაქტობრივად, ყოველდღიურად მჭიდრო ინტერაქციასა და აზრების გაცვლა-გამოცვლაში ვართ. რატომ ეცოტავა ექსპერტს 4000 მონაწილე? იმიტომ, რომ აქამდე მასწავლებელი არ განიხილებოდა, როგორც რეფორმის წამყვანი ძალა, როგორც მოქმედი, მოაზროვნე სუბიექტი, რომელსაც ყველაზე კარგად შეუძლია დაგეგმოს და განახორციელოს ის რეალური ცვლილებები, რომლებიც დღეს ყველაზე მეტად სჭირდება ჩვენს სისტემას. „ახალი სკოლის მოდელის“ სიახლე სწორედ ის არის, რომ რეფორმის ბაზას საკლასო ოთახი და სკოლა წარმოადგენს, რომ რეფორმას ახორციელებენ მასწავლებლები, რასაკვირველია, ჩვენი მონაწილეობით. მათ ყოველდღიურ პრაქტიკაზე დაფუძნებით იქმნება და იხვეწება სწავლა-სწავლების ხელშემწყობი ინსტრუმენტები, მიდგომები, სასკოლო სასწავლო გეგმები თუ რესურსები. თქვენ იცით, რამდენი რამ შეიცვალა ამ ხნის მანძილზე. ესაა უპრეცედენტო შემთხვევა, როცა კვლევა-ძიებითი პროცესები მიმდინარეობს ოთხი ათასი ადამიანის მონაწილეობით – კვლევა-ძიებითი პროცესები, რომლებიც გვაჩვენებს, რა და როგორ შევცვალოთ. ჩვენ მასწავლებლებისგან ყოველდღიურად ვღებულობთ შენიშვნებს, კომენტარებს, რჩევებს და ამ ყველაფერს ვითვალისწინებთ. ჩვენი მიზანია, შევქმნათ ეფექტიანი პლატფორმა სასკოლო კურიკულუმების გასავითარებლად, რადგან სანამ ჩვენი მასწავლებლები სხვის მიერ შემუშავებულ პროგრამებზე იქნებიან დამოკიდებულნი, ვითარება ვერ გამოსწორდება. ეს უნდა დამთავრდეს. თავად მასწავლებელი და სკოლის გუნდი უნდა იყოს სასწავლო გეგმის ავტორი, მისი დამგეგმავი და განმახორციელებელი. ის კალენდარული გეგმები, რომლებიც აქამდე იქმნებოდა, სრულიად ფორმალურად ინერებოდა და არაფერი ჰქონდა საერთო მოსწავლეთა განვითარების ცოცხალ პროცესთან. მართალია, მასწავლებლებს აქამდეც ვთხოვდით სასკოლო კურიკულუმის შემუშავებას, მაგრამ არ არსებობდა რაიმე პლატფორმა, რომელიც რეალურად დაეხმარებოდა მათ ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის შემუშავებაში. ამჟამად ყველანი ერთად ვქმნით სწორედ ამ პლატფორმას, რათა ყველა სკოლამ შეძლოს თავისი უნიკალური სასკოლო სასწავლო გეგმის შექმნა, ცხადია, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა გათვალისწინებით. მხოლოდ სკოლის პრიორიტეტების, მოსწავლეთა საჭიროებების, ადგილობრივი სასკოლო თემის მოლოდინების, სკოლისა თუ ადგილობრივად ხელმისაწვდომი რესურსების გათვალისწინებით შემუშავებულ სასკოლო კურიკულუმს შეუძლია მოსწავლეთა გონებრივი რესურსების რეალურად ამოქმედება. სწორედ ასეთი პროცესები მიმდინარეობს დღეისათვის ჩვენს სკოლებში, რაც დიდი სიახლეა: შეცვლილია დამოკიდებულებები, წამყვან ძალას წარმოადგენენ მასწავლებლები და, რასაკვირველია, ამ მასწავლებლების ხელმძღვანელი დირექტორები.“*

თამარ ჯაყელი ამბობს, რომ ეროვნულ ტრაგედიად შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად ათი ათასობით მოსწავლე ასრულებს სასწავლო წელს, მაგრამ, ამის მიუხედავად, სწავლის პროცესის განმავლობაში, აუთვისებელი რჩება მათი გონებრივი რესურსები, ატროფირებული რჩება მათი საზროვნო უნარები და მაღალი შესაძლებლობები. ამას ადასტურებს ეროვნულ და საერთაშორისო შეფასებათა შედეგები. ეს შემდგომში გვაძლევს ატროფირებულ საზოგადოებას, თავისი უამრავი პრობლემით – არარეალიზებული ადამიანებით, არასრულფასოვნების განცდით, დათრგუნული ენერგიებითა თუ შესაძლებლობებით, რომლებიც უხეშ და აგრესიულ ძალებად გარდაიქმნება. *„თუ სკოლას ვერ გადავაქცევთ მოზარდების შემეცნებითი და შემოქმედებითი ძალების ასპარეზად, თუ მომდევნო 10 წელიწადში ვერ შევცვლით ამ ვითარებას, ჩვენი ერი ვერ გაუძლებს იმ ზეწოლასა და გამოწვევებს, რომლებიც თითოეული ქვეყნის წინაშე დგას თანამედროვე ეპოქაში.*

მსურს კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნო დირექტორების როლი. ცოტა კრიტიკული ვიქნები და გეტყვით, რომ შესანიშნავად ვამჩნევთ მასწავლებელთა გუნდის მუშაობაზე, თუ რამდენად გულითადად არის ჩართული დირექტორი მიმდინარე პროცესებში. დირექტორი არის მაგალითი, ერთგვარი ქცევის მოდელი. მასწავლებლები მშვენივრად გრძნობენ, მნიშვნელოვან საქმედ მიაჩნია თუ არა დირექტორს ეს პროექტი. შესაძლებელია ზოგმა იფიქრა, რომ „ახალი სკოლის მოდელი“ ერთ-ერთი დროებითი პროექტია სხვა მრავალ პროექტებს შორის, მაგრამ ეს ასე არ არის. „ახალი სკოლის მოდელი“ არის წამყვანი პროექტი, რომელმაც უნდა შეცვალოს ჩვენი მომავალი, ესაა გზა თავისუფლებისაკენ და ჩვენ ვხედავთ, ნელ-ნელა როგორ თავისუფლდება მასწავლებლების შემოქმედებითი ძალები, როგორ ემატებათ მათ თვითრწმენა, როგორ „იხუნძლებიან“ ისინი ახალ-ახალი იდეებით – შეიძლება ითქვას, რომ ეს პირველი კვირტებია. ცხადია, ყველგან ერთნაირი მდგომარეობა არ არის, მაგრამ იმ სკოლებში, სადაც დირექტორი გულწრფელადაა ჩართული საქმეში, პროცესები დინამიკურად მიდის.

მან მადლობა გადაუხადა პროგრამაში ჩართულ სკოლებს, მასწავლებლებს, მხარდამჭერი გუნდების წევრებს, კოლეგებს. *„დიდ იმედს მაძლევს ის მრავალი „აღმონაცენი“, რომლებსაც საგაკვეთილო პროცესებში ვხედავ, ჩვენი მასწავლებლებისა და „ქოუჩების“ გულებში. ეს მართლაც ისტორიული პროცესია, მთავარია, ყველამ შევძლოთ ამის გაცნობიერება“.*

დირექტორებისა და პედაგოგების დაინტერესება ახალი სკოლის მოდელის მიმართ საკმაოდ მაღალია. იმ სკოლებში, სადაც უკვე შედეგი სახეზეა, თვისობრივი ცვლილებები მოხდა – მოსწავლეზე ორიენტირებამ, გუნდურმა მუშაობამ და მასწავლებლებისთვის მეტი დამოუკიდებლობის მინიჭებამ შედეგი გამოიღო და მოსწავლეთა, თითქმის, 100% ჩართულია სასწავლო პროცესში.

სოფიო კალანდია, 45-ე საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი ამბობს, რომ ეს პროგრამა პირდაპირ პასუხობს 21-ე საუკუნის გამოწვევებს, ხელს უწყობს ლოგიკური აზროვნების განვითარებას, არგუმენტირებულ მსჯელობას და დასაბუთებას ასწავლის მოსწავლეებს. *„ამ პროექტში თითოეული მასწავლებელია ორგანიზატორი და დამგეგმავი ამ ყველაფრის. ჩვენ, გუნდთან ერთად, აქტიურად ვმონაწილეობთ „ახალი სკოლის მოდელის“ შექმნაში. მე, როგორც მასწავლებელს, ამ პროექტმა საშუალება მომცა, რომ დროში შეუზღუდავად ვიმუშაო ბავშვებთან. რას ნიშნავს ეს? ადრე თუ, ერთ ტექსტს 2-3 გაკვეთილი ეთმობოდა, თემატური გეგმის მიხედვით, ახლა, დაახლოებით, ათი გაკვეთილი მაინც მაქვს*

ახალი სკოლის მოდელი

ამისთვის. რატომ არის ეს მნიშვნელოვანი? კლასში თითქმის აღარ გვყავს ე.წ. „ჩამორჩენილი“ ბავშვები იმიტომ, რომ ყველას ეძლევა საშუალება, თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე, მიიღოს მონაწილეობა საკლასო აქტივობებში. შედეგებზე საუბარი ნაადრევია, მაგრამ თითოეულ გაკვეთილზე ჩანს, რომ ეს ბავშვები ერთი ნაბიჯით წინ არიან, ვიდრე წლების წინ ან თუნდაც გუშინ იყვნენ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება სახელმძღვანელოებს ეხება. მასწავლებლები მუდმივად ვგრძნობდით გარკვეულ დისკომფორტს, რომ მიჯაჭვულები ვიყავით სახელმძღვანელოებს, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება არ მოგვწონდა იქ რაღაც ტექსტი ან გამოყენებული მეთოდიკა, რომელიც გარკვეულ უნარების განვითარებაზე მუშაობის საშუალებას არ გვაძლევდა. ამ პროგრამამ მოგვცა საშუალება, რომ გაკვეთილებზე ნებისმიერი ჩვენთვის სასურველი ტექსტი შევიტანოთ, და რაც მთავარია, ისე დავამუშაოთ, რომ ხელი შევუწყოთ მოსწავლეებს 21-ე საუკუნეში საჭირო უნარების განვითარებაში.

რაც შეეხება კომპლექსურ დავალებებს[1], თუ ადრე, როგორც მასწავლებელს, ნებისმიერი აქტივობა შემქონდა გაკვეთილზე და ვამუშავებდი, შემიძლია ვთქვა, რომ ნაკლებად ეფექტური იყო და რატომ? იმიტომ, რომ არ ვიცოდით, რატომ ვაკეთებდით ამ ყველაფერს. ამ პროექტმა საშუალება მოგვცა, თითოეული აქტივობა დაგვეკავშირებინა გრძელვადიანი მიზნებისთვის, დამანახა იმის საჭიროება, რატომ ვაკეთებ ამას. ასეთი გააზრებული მიდგომები, რა თქმა უნდა, მეტ შედეგს იძლევა ბავშვებთან. მასწავლებლებს ყოველი გაკვეთილი ერთობლივად გვაქვს დაგეგმილი. აქ არ არის მხოლოდ ერთი მასწავლებლის აზრი გადამწყვეტი. ამ ყველაფრიდან ძალიან დიდ შედეგს ველოდებით.“

58-ე საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებლის, **ხათუნა წიკლაურის** აზრით, მოდელმა მასწავლებლების უნარების შეცვლა-ფორმირება განაპირობა. პრაქტიკულად შეუძლებელია, 21-ე საუკუნის უნარებზე გაიყვანო ბავშვები, ასწავლო, თუ შენ თვითონ არ ფლობ ამ უნარებს. *„მხოლოდ დაგროვილი თეორიული ცოდნის გარდა, კონკრეტულად თითოეულ ბავშვზე გადის კომპლექსური დავალება, მათი პიროვნების გავლით ხდება კონკრეტული თემის შემეცნება, რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებით – ბავშვი იგებს რატომ უნდა ისწავლოს ესა თუ ის თემა, თუნდაც გრამატიკა ან მათემატიკა, ნებისმიერი საგანი, რაში დასჭირდება, რაში გამოადგება. შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლების უნარების ფორმირება-შეცვლა იმიტომ მოხდა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ 21-ე საუკუნის უნარების ფლობა კომპეტენტურად, ისე, რომ კონკურენტუნარიან გარემოში ადაპტირდნენ და იყვნენ სრულფასოვანი მოქალაქეები.“*

133-ე საჯარო სკოლის დირექტორის, **ლიანა ფუტკარაძის** შეფასებით, ნამდვილად მნიშვნელოვანი პროგრამაა, რადგან სასწავლო პროცესში მთლიანად მოსწავლეზეა აქცენტი, აქტიური გახდა სააზროვნო უნარებზე ორიენტირება. *„ალბათ, პირველად საგანმანათლებლო ისტორიაში, მასწავლებლებმა, სასწავლო პროცესის დასრულებისას, თვითონ შექმნეს, მხარდამჭერ ჯგუფთან ერთად, სასკოლო კურიკულუმები, რომლებიც არის, ისევ და ისევ, გააზრების პროცესზე ორიენტირებული. მათ თვითონ შექმნეს მატრიცები[2]. მასწავლებლები უკვე აღარ არიან იმაზე აქცენტირებულები, რაც შეიძლება მეტი ტექსტი გაიარონ გადარბენით, მთელ ყურადღებას და აქცენტს იმ კონკრეტული უნარების განვითარებაზე აკეთებენ, რაც კონკრეტულ მოსწავლეს ნებისმიერი ტექსტის გააზრებისთვის გამოადგება, ნებისმიერ ვითარებაში. თითოეულ მოსწავლეზე ხდება ორიენტირება სასკოლო სივრცეში და თითოეულს ეთმობა დრო. მასწავლებელი აღარ არის წამებში და ჩარჩოებში ჩასმული და ამან უკვე სერიოზული შედეგებიც დაგვანახა – ადრე თუ იყვნენ ბავშვები, რომლებიც საერთოდ არ გამოხატავდნენ საგაკვეთილო პროცესებში ჩართვის ინიციატივას, ახლა ისინი უკვე, ფაქტობრივად, ნაშრომებს წერენ და წარმატებით არიან ჩართულები სასწავლო პროცესში, რომელიც სიამოვნებას ანიჭებს მასწავლებლებსაც.*

1. კომპლექსური დავალება გულისხმობს შემეცნებით-შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას.
2. ერთი მატრიცა გულისხმობს ერთ სასწავლო თემატურ ერთეულს. ასეთი ერთეულებისგან შედგება საგნობრივი სასწავლო გეგმა.

ჩვენ გვაქვს ძალიან მაღალი მოლოდინები, რომ თითოეული ჩვენი კურსდამთავრებული იქნება ძალიან წარმატებული, რეალიზებული მოქალაქე და თავის სათქმელს იტყვის მომავალში. მადლობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რომ მოგვეცა ამ მეტად მნიშვნელოვან, საინტერესო და საჭირო პროექტში ჩართვის შესაძლებლობა.“

სოფო ომიაძე, თბილისის 129-ე საჯარო სკოლის პედაგოგი მიიჩნევს, რომ სამინისტრომ, „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში, პედაგოგებს უფრო მეტი ნდობა გამოუცხადა. თუ აქამდე მათ ჰქონდათ განსაზღვრული სახელმძღვანელოები, თემატიკა, ამ შემთხვევაში, სასწავლო კურიკულუმებს თავად ადგენენ. შესაბამისად, შემდეგ მათთვის უკვე დაგეგმვის პროცესიც უფრო საინტერესო ხდება. *„ხელს ვუწყობთ ინტერაქციას, უფრო მეტად გუნდურად ვმუშაობთ, ყველანი ჩართულები ვართ, ერთმანეთს ვუცვლით აზრს, შემდეგ, როდესაც მატრიცას სისრულეში მოვიყვანთ, ვფიქრობთ, რამ იმუშავა, რამ არ იმუშავა კარგად, რომელი მეთოდი გამოგვადგა, რომელი – არა. რა თქმა უნდა, ყველა ბავშვს ინდივიდუალური მიდგომა უნდა, ზოგთან ერთი შეიძლება იყოს ეფექტური, მეორესთან – სხვა, მაგრამ გარკვეულ შეჯერებას ვაკეთებთ, მივდივართ ერთ კონკრეტულ დასკვნამდე. ეს მსჯელობა ერთმანეთთანაც გვაახლოებს კოლეგებს და მეთოდურადაც უფრო მეტად ვიზრდებით, როგორც პროფესიონალები.*

აღმოჩენებსაც კი ვაკეთებთ. პირადად მე, ქართულის გაკვეთილზე დამესწრნენ და შემდეგ, როცა მათემატიკაზეც უნდა დამსწრებოდნენ, მივხვდი, რომ ქართულის მეთოდი ძალიან გამომადგებოდა და მოდიფიცირებული სახით მათემატიკასაც მოვარგე. ძალიან საინტერესო აღმოჩენა იყო და დავინახე, რომ ეს იყო ჩემი პროფესიული ზრდა.

რაც შეეხება ბავშვებს, უფრო მეტად თავდაჯერებულები გახდნენ, იციან, რომ ეს შეუძლიათ, ამას გააკეთებენ. თუ კონკრეტული მოსწავლე ვიღაცის ტემპს ვერ ეწეოდა, ამ შემთხვევაში, მას უფრო მეტი დრო აქვს სამუშაოდ. საწყის ეტაპზე, გარკვეული უკმაყოფილება იყო როგორც მშობლების, ასევე მასწავლებლების მხრიდანაც – ასეთი პრობლემა და შეკითხვა ჩნდებოდა: მე თუ სუსტ მოსწავლესთან (ვისაც ნაკლები აკადემიური მოსწრება აქვს) დიდხანს გავჩერდი, მაშინ ძლიერთან რა ვქნა? დროის ულიმიტობა გვაძლევს შესაძლებლობას, ყოველი ბავშვის ინდივიდუალიზმს, თავისებურებებს მოვარგოთ მეთოდი და შევურჩიოთ აქტივობა. ხაზგასასმელია, რომ ეს ბავშვს თავდაჯერებულობას მატებს.“

სოფო ომიაძე იმასაც აღნიშნავს, რომ ამ პროექტმა მშობლების ნდობაც გაზარდა და სასწავლო პროცესში ჩართულობაც. როდესაც პირველად მისცა სახლში კომპლექსური დავალება, ახსოვს მშობლების სიხარული – რა საინტერესო დავალება იყოო. რა თქმა უნდა, ისინი სწავლის პროცესში არ ერთვებიან და გაფრთხილებულიც არიან, რომ უბრალოდ თვალი ადევნონ შვილებს. მასწავლებლებიც, საგაკვეთილო პროცესში, მხოლოდ გეზის მიმცემები არიან, წამყვანი არის მოსწავლე. ამან მშობლებში ინტერესიც გაზარდა და ნდობაც როგორც მასწავლებლის მიმართ, ასევე სწავლების ხარისხთან დაკავშირებითაც. ამბობს, რომ საგაკვეთილო პროცესში უფრო მეტი ისტ-ის გამოყენება შეიძლება, რაც მთავარია, ყველა ამ უნარის განვითარებამ რეალურად თანამედროვეობას უნდა მოარგოს ბავშვები. *„ვფიქრობ, შედეგი იქნება ძალიან კარგი.“* – აცხადებს სოფო ომიაძე.

თბილისის 82-ე საჯარო სკოლის ბუნებისმეტყველების მასწავლებლის, **თამილა აბესაძის** აზრით სასწავლო პროცესი ბევრად უფრო ორგანიზებული გახდა. *„მატრიცებმა საშუალება მოგვცა, რომ ძალიან ბევრი ვიფიქროთ თვითონ კომპლექსურ დავალებაზე, რომ მოსწავლემდე მივიტანოთ დახვეწილი, მრავალ შედეგზე ორიენტირებული, მიზანმიმართული აქტივობები. ყველაზე მეტად რაც მომწონს მატრიცაში, არის ის, რომ მოგვცა თავისუფლება, არ ვართ შეზღუდულები, უშუალოდ წიგნს არ მივყვებით. მასწავლებელს შემოქმედებითი უნარების განხორციელების შესაძლებლობა ეძლევა საგაკვეთილო პროცესში და მოსწავლეებიც ასევე არიან ჩართული. ძალიან კარგად არის გამოყენებული კომპიუტერული ტექნოლოგიებისადმი მათი მიდრეკილება იმიტომ, რომ გაკვეთილზეზუსტად საინტერესოს, სასარგებლოს და ინტერესის სფეროს ვუკავშირებთ ერთმანეთს, რაც ნამდვილად ძალიან დიდი შედეგის მომტანია.*

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ განვითარდა თანამშრომლობითი კულტურა, მატრიცებზე ერთობლივად ვმუშაობთ პარალელური საგნის მასწავლებლები, რაც ძალიან კარგია იმიტომ, რომ სისტემური ხასიათი მიიღო – შეიძლება არც იყო გაკვეთილზე და შემცვლელმა მასწავლებელმა ისევე ჩაატაროს გაკვეთილი, როგორც შენ ჩაატარებდი, რადგან კომპლექსური დავალება დეტალურადაა გაწერილი და მოსწავლეს ჩავარდნის, ტყუილად ჯდომის, პროცესებს მიღმა დარჩენის საშუალებას არ აძლევს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მჯერა „ახალი სკოლის მოდელის“, ჩემი ბრძოლის ველი აქ არის და ჩემი წილი საქართველო ამ პროექტით უნდა შევცვალო.“

❖ ❖ ❖

რამდენიმე წლის შემდეგ, შესაძლოა, „ახალი სკოლის მოდელი“ საქართველოს სავიზიტო ბარათიც კი გახდეს, ისეთივე, როგორიც, მაგალითად, ფინური სკოლაა. დღეს, პროექტში ჩართული მასწავლებლებისა და დირექტორების განწყობა საკმაოდ ოპტიმისტურია, სჯერათ, რომ მნიშვნელოვან შედეგს მიაღწევენ. მაგრამ, როგორც ყველა სიახლეს, რა თქმა უნდა, „ახალი სკოლის მოდელსაც ჰყავს“ თავისი კრიტიკოსები. არ სჯერათ, რომ ეს რეფორმა ბოლომდე მივა. ამ უნდობლობასაც, ალბათ, გარკვეული საფუძველი აქვს, რადგან ბოლო ათწლეულების განმავლობაში არაერთი ხმამაღალი განაცხადი მხოლოდ განაცხადად დარჩენილა. ამ შემთხვევაში, პროექტის ავტორების და პილოტირებაში ჩართული სკოლების განწყობა ერთსულოვანია, რომ ეს ისტორიული პროცესია და შედეგი საუკეთესო იქნება. როგორც თამარ ჯაყელი ამბობს, *„ეს არის პროექტი, რომელმაც ჩვენი მომავალი უნდა შეცვალოს“.*

ახალი ამბები

დაბალი რისკის პატიმრები მაგისტრატურაზე სწავლას შეძლებენ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონსა და „პატიმრობის კოდექსში“ ცვლილება შედის, რომელიც დაბალი რისკის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრებს მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის საშუალებას მისცემთ.

მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ, **მარიამ ჯაშმა** რუსთავის №16 დაბალი რისკის პენიტენციურ დაწესებულებაში 23 წლის მსჯავრდებული **ნიკა ჩუგოშვილი** მოინახულა. კომიტეტისადმი მიმართული მისი თხოვნის საფუძველზე, კანონმდებელმა უმაღლესი განათლების შესახებ კანონსა და პატიმრობის შესახებ კოდექსში შესატანი ცვლილება მოამზადა, რომელიც პარლამენტმა მიმდინარე სასესიო კვირაში დაჩქარებული წესით მიიღო. ცვლილებით, დაბალი რისკის მქონე პატიმრებისთვის უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საფეხურზე სწავლა ხელმისაწვდომი გახდა.

მარიამ ჯაშმა ნიკას წიგნები გადასცა, რომლებიც პატიმარს, როგორც საჯარო პოლიტიკის მომავალ მაგისტრს, მის მიერ შერჩეულ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის პროცესში დაეხმარება.

„ნიკა ჩუგოშვილი სწავლის ყველა ეტაპზე წარმატებული მოსწავლე იყო, ფლექსის პროგრამის მონაწილე, კავკასიის უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საფეხურის წარჩინებული კურსდათავრებული. მას დიდი გეგმები ჰქონდა – საფრანგეთსა და ევროპის სხვა უნივერსიტეტებში გაეგრძელებინა სწავლა, მაგრამ გარკვეული გარემოებების გამო სასჯელაღსრულების სისტემაში აღმოჩნდა. მან ჩააბარა სამაგისტრო პროგრამაზე და ის ბარიერი, რომლის გამოც სწავლას ვერ იწყებდა, აღმოფხვრილია.

ძალიან სიმბოლურია, რომ ნიკა ხდება საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი და მან პირველი ცვლილება საჯარო პოლიტიკაში უკვე განახორციელა, თუნდაც სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან. ეს არის საუკეთესო მაგალითი, თუ როგორ შეუძლია ერთ კონკრეტულ პატიმარს როგორც სისტემის ჰუმანიზაცია, ასევე სხვა მსჯავრდებულებისთვის გზის გახსნა, რომ მათ გაუმარტივდეთ როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ სივრცეში დაბრუნება“ – განაცხადა კომიტეტის თავმჯდომარემ.

ინკლუზიური განათლება

მშობელი ყველაზე დიდი ძალაა, განათლებული მშობელი კი – შვილის განვითარების გარანტი!

ლალი ჯელაძე

როგორი რეაქცია გაქვთ, როცა ქუჩაში, ტრანსპორტში, მაღაზიაში, თეატრში განსხვავებულ ბავშვს დაინახავთ? დარწმუნებული ვარ, უმეტესობა უპასუხებს, რომ ჩვეულებრივი. თუმცა, სამწუხაროდ, საზოგადოების წევრების ქმედება, ხშირად, სხვაგვარია... და ეს სხვაგვარი ქმედება, ჩაუვლიან თუ არა დაუნის სინდრომის მქონე ან ეტლით მოსარგებლე პატარას, მაშინვე ავიწყდებათ, მათ მშობლებს კი ყოველი ასეთი რეაქცია მძიმე ჭრილობად რჩებათ და მათ პრობლემას კიდევ უფრო აღრმავებს. ერთი შეხედვით, რთულია გაიგო, რას ნიშნავს იყო შშმ ბავშვის მშობელი და რა გამოწვევების გამკლავება უწევთ მათ. პრინციპში, არც ისე რთულია, თუ იმ სამედიცინო თუ სხვა ტიპის სერვისებს გავითვალისწინებთ, რომელსაც მათ სახელმწიფო სთავაზობს. როგორია შშმ მშობლის ყოველდღიურობა, რეალურად რა პრობლემები დგას დიაგნოზის უკან, რა ხელშეწყობა აქვს სახელმწიფოსგან და როგორია გარემო, სადაც „განსხვავებული“ ბავშვები ცხოვრობენ – ამის შესახებ **ნინო ომანაძის** *ინტერვიუში შეიტყობთ. ნინო შშმ ბავშვის მშობელია, შვილის უფლებების დასაცავად, წელს, მან თანამოაზრე დედები გააერთიანა და არასამთავრობო ორგანიზაცია „მეც-Me Too“ დააფუძნა. „იბრძოლეთ თქვენი შვილების უფლებებისთვის, სხვის იმედზე ნუ დატოვებთ მათ მომავალს! მიუღწეველი არაფერია, სიყვარულით და მოთმინებთ ყველაფერი გამოგვივა.“ – ასე მიმართავს მშობლებს, რომლებსაც მსგავსი პრობლემები აქვთ.*

დიაგნოზი როგორც განაჩენი

ბარბარეს დაბადებამდე, დაუნის სინდრომზე მხოლოდ ის ვიცოდი, რომ „დაუნი“ ადამიანის დამაკნინებელ მიმართვად გამოიყენებოდა. სტრესი, რომელსაც მშობელი დიაგნოზის გაგებისას იღებს, უმწვავესია. დაბნეულობა, დიაგნოზს მიღმა არსებული პრობლემების არცოდნა, სტერეოტიპი, რომ ყველა განსხვავებული დასაცინი და მეორეხარისხოვანია. სამწუხაროდ, სწრაფად ხვდები, რომ განსხვავებული დიაგნოზი – განაჩენია! ექიმი, რომელთანაც გაქვს პირველი, უშუალო შეხება, სანუგეშოს არაფერს გეუბნება, პირიქით, მდგომარეობას გიმძიმებს, რჩები პრობლემის წინაშე ოჯახთან, რომელიც შენზე მეტად დაბნეულია, ახლობლები, კი „ასეთი“ ბავშვის დაბადებას არც გილოცავენ...

განაჩენია იმიტომ, რომ მარტო იწყებ ჩაკეტილი წრის გარღვევას, ეძებ საჭირო ინფორმაციას, ეძებ გამოცდილ ადამიანებს, „შენნაირ“ დედებს, იღებ უდიდეს ტკივილს, გაურკვევლობა და ბუნდოვანი მომავალი გტანჯავს...

პრობლემები პირველივე დღეს იწყება... სახელმწიფო მოუმზადებელია ჯანსაღად დახვდეს შენი შვილის შეზღუდულ შესაძლებლობებს, მის საჭიროებებს. ექიმიც კი, რომელთანაც პირველ ვიზიტზე მიგყავს პატარა, დაბნეული შემოგყურებს.

სახელმწიფო პროგრამები, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების განვითარებას უნდა ემსახურებოდეს, მწირი და გაუმართავია.

საზოგადოებას განსხვავებულის შიში აქვს. ერთ შემთხვევას გავიხსენებ, ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებაში მოვხვდით, ბარბარე 1 წლის იყო, დილით პალატაში ექიმი და მისი ათიოდე სტუდენტი დაუკითხავად შემოიჭრნენ – არც პატივისცემა, არც მორიდება, ექიმი პირდაპირ მიმართავს სტუდენტებს: დააკვირდით ჰაბიტუსს, ესაა დაუნის სინდრომი. სტუდენტებიც გაოცებით დაჰყურებდნენ ბავშვს. სანამ გავიდოდნენ, მკაცრი ხმით დამიბარა: „კაბინეტში შემობრძანდით!“

დაბნეული, გულგადაწურული შევედი „კაბინეტში“. პირველი კითხვა: გარდა ამ ბავშვისა, კიდევ გყავთ ვინმე დაუნის სინდრომით? თავის მართლება დავიწყე, რომ არა, ეს პირველი შემთხვევაა... სამწუხაროდ, ასეთი დამოკიდებულება წლების შემდგომაც გრძელდება, უფრო იშვიათად, მაგრამ მაინც.

9 წლის წინ, როცა ბარბარე დაიბადა, საზოგადოების და სახელმწიფოს დამოკიდებულება შშმ უფრო სტიგმატიზებული იყო.

გამოწვევების პირისპირ

მიუხედავად ბევრი მიღწევისა, ჩვენთვის გამოწვევად რჩება რეალურად ინკლუზიური გარემო, ჩვენი შვილების საჭიროებაზე მორგებული ჯანდაცვა, პროფესიულ დონეზე გადამზადებული სკოლის და ბაღის მასწავლებელი. მშობელთა ორგანიზაციები, წლებია, სახელმწიფოსგან ჯანდაცვის პაკეტის დახვეწას და ჩვენი შვილების საჭიროებაზე მორგებული სერვისის მიღებას მოითხოვენ, თუმცა, ეს საკითხი დღემდე დადებითად ვერ გადაწყდა. მწირია იმ ცენტრების ჩამონათვალი, სადაც სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვები ადრეული განვითარების პროგრამაში ჩართვას შეძლებენ.

ამ პროგრამაში მოსახვედრად, ბავშვებს, წლების მანძილზე, მომლოდინეთა სიებში ყოფნა უწევთ. ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ვაუჩერი, რომელიც ამ სერვისს ანაზღაურებს, ვერ უზრუნველყოფს იმ ხარჯების ანაზღაურებას, რასაც ადრეული განვითარება მოითხოვს. მშობელი იძულებულია, დამატებითი სახსრები მოიძიოს, რათა ბავშვი მიიყვანოს მეტყველების, სენსორული თერაპიის, ოკუპაციური თერაპიის სპეციალისტებთან. ამ სპეციალისტების სიმწირე და პროფესიონალიზმიც ცალკე თემაა.

ინკლუზიური განათლება

ბევრი პრობლემაა ინკლუზიური განათლების კუთხითაც. სახელმწიფომ თითქოს უზრუნველყო შშმ ბავშვების საჯარო სკოლებსა და ბაღებში მიღება, მაგრამ სკოლაც და ბაღიც მოუმზადებელი აღმოჩნდა მათ დასახვედრად.

შშმ ბავშვი საჭიროებს სპეციალურად გადამზადებულ მასწავლებელს, რომელსაც განსაკუთრებულ საჭიროებასთან გამკლავების სრული ცოდნა და მზაობა ექნება.

არ შეიძლება გავაღოთ კარი და იმ კარს მიღმა არსებული პრობლემები, ოთახში გამოვკეტოთ.

პრობლემები გვხვდება სკოლაშიც, განათლების სისტემა ვერ უზრუნველყოფს რეალური ინკლუზიის დანერგვას და სკოლა თითქმის მოუმზადებელი ხვდება შშმ ბავშვებს. ცალკეული მასწავლებლის პროფესიონალიზმსა და კეთილ ნებაზეა დამოკიდებული ჩვენი შვილების ბედი. სკოლებში მოუწესრიგებელია ინფრასტრუქტურა, სკოლის შენობა არ არის ადაპტირებული ეტლით მოსარგებლე ადამიანებისთვის – არ არის პანდუსები; საგნის პედაგოგების უმეტესობას არ აქვს შშმ ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება, მშობელი იძულებულია, სკოლიდან სკოლაში ატაროს შვილი იმის გამო, რომ იქნებ, სადმე კვალიფიციური კადრი დახვდეს. ამ პროცესში კი, მკაცრად ირღვევა ბავშვის უფლებებიც და მშობლის უფლებებიც. ხშირად, სამწუხაროდ, მოსწავლე სკოლის მიღმა რჩება, სახლში გამოკეტილი. ამ შემთხვევაში კი, თავისთავად, ყოვნდება მისი განვითარება. ვიცი შემთხვევა, როცა სწორედ ამ მიზეზით, მშობელი იძულებული გახდა, შვილისთვის 4 სკოლა გამოეცვლა, ბავშვი მე-6 კლასშია, თუმცა, სკოლაში 6-ჯერაც არ ყოფილა. ეს ხდება ქალაქის ცენტრში, ცნობილ სკოლებში. ბავშვი, რომელსაც კარგად აქვს განვითარებული სოციალური და აკადემიური უნარები, საგაკვეთილო პროცესს მხოლოდ იმიტომ ჩამოაშორეს, რომ „ცელქია“. რამდენი წელია, განათლების სამინისტრომ დაამატა ინდივიდუალური ასისტენტის შტატი სკოლაში, რომელიც მოსწავლეს ინდივიდუალურად ეხმარება პრობლემის და სირთულის გადალახვაში. ძალიან მნიშვნელოვანია ინდივიდუალური ასისტენტი, რომელიც შშმ მოსწავლის გვერდით იქნება და დაეხმარება, სრულფასოვნად ჩაერთოს სასწავლო პროცესში. თუმცა, ინფორმაცია ინდივიდუალური ასისტენტის არსებობის შესახებ, ძალიან ცოტა, თითზე ჩამოსათვლელმა მშობელმა თუ იცის. როგორც აღმოჩნდა, პრობლემები აქაც ბევრია, რადგან ინდივიდუალური ასისტენტის შერჩევის კრიტერიუმი სადავოა – არ ვიცით, რა პროფესიული განათლება აქვს ან აქვს თუ არა ასეთ ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება. განხილვის საგანია ინდივიდუალური ასისტენტის მიზერული ხელფასიც – 1 საათი – 3 ლარი. ჩვენი შვილების უმეტესობა 3 საათზე მეტი დროის გატარებას ვერ ახერხებს სკოლაში. აქედან გამომდინარე, ასისტენტის ხელფასი 120 ლარია, ეს იმდენად მიზერული თანხაა, რომ სამუშაოს შესრულების სურვილი არავის აქვს, მით უფრო, გამოცდილ სპეციალისტს. სამინისტრო და სკოლა კი, თავს იმით იმართლებენ, რომ ვაკანსიები გვაქვს, მაგრამ კადრები არ გვყავსო. მთავარია, მიზეზზე იფიქრონ – რატომ არ მოდის კადრი ამ ვაკანსიაზე?

მესმის, რომ ინკლუზიური განათლება ჩვენი საგანმანათლებლო სისტემისთვის სიახლეა, ახლა იწყებენ ამ მიმართულების დახვეწას, მაგრამ საჭიროა სახელმწიფოს ნება, დროულად გადამზადდეს და შენარჩუნდეს კვალიფიციური კადრი, რომელიც ჩვენს შვილებს რეალურად ჩართავს საგანმანათლებლო პროცესში.

განათლების სამინისტრო ჩვენი შვილების დისკრიმინაციის ხელშემწყობი არ უნდა გახდეს. არ შეიძლება სკოლაში მუშაობდეს ორი კატეგორიის მასწავლებელი: საგნის მასწავლებელი, რომელსაც პროფესიული და კარიერული ზრდის, განვითარების საშუალება აქვს და სპეციალური მასწავლებელი, რომელიც პროფესიული განვითარების სქემაში არ არის ჩართული, ეს ყველაფერი კი, ადეკვატურად აისახება მის კვალიფიკაციაზეც და ანაზღაურებაზეც.

განათლების სამინისტრო და სახელმწიფო თავს იწონებს, რომ მასწავლებლის პროფესია დაფასდა, ხელფასი 1000 ლარზე მეტია, მაგრამ სკოლაში გვყავს სპეციალური მასწავლებელი, რომელიც 300 ლარსაც კი ვერ იღებს იმ უმძიმესი შრომისთვის, რასაც ეწევა. არადა, სპეციალური მასწავლებლის კვალიფიკაციასა და მოტივაციაზეა დამოკიდებული ათასობით სსსმ მოსწავლის ბედი. სამინისტროს ასეთი დამოკიდებულების გამო, სკოლებიდან პროფესიონალი სპეცმასწავლებლების გადინების პროცესი დაიწყო.

განათლების სამინისტრომ, 2018 წელს, სპეციალურ მასწავლებელს მასწავლებლის კვალიფიკაცია მიანიჭა, მაგრამ კარიერული განვითარების გარეშე დატოვა. დღემდე არ არსებობს პროფესიული განვითარების სქემა, რაც საშუალებას მისცემს სპეცმასწავლებელს, იზრუნოს საკუთარი ცოდნის/კვალფიკაციის ამაღლებაზე. სქემის დამუშავება მასწავლებლის სახლს დაევალა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მთელი წელი, სქემაზე მუშაობა სქემის კონტურებს ვერ გასცდა. არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა და შშმ ბავშვის მშობელმა, თამარ იარაჯულმა, ინკლუზიური განათლების სპეციალისტების ჯგუფმა, მე, როგორც მშობელმა, მივმართეთ სამინისტროს, სასწრაფო წესით დაიწყოს სქემის განხილვა. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს შეხვედრები და დადებით ძვრებს ველოდებით.

აუცილებელია, სქემა, წლის ბოლომდე, გადაეგზავნოს ხელისუფლებას, რომ დროულად მოხდეს მისი განხილვა და დამტკიცება, იქნებ 2020 წლის ბიუჯეტში მაინც ჰპოვოს ასახვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სკოლა დაკარგავს კვალიფიციურ სპეცმასწავლებლებს, რაც, საბოლოოდ დაანგრევს ძლივს შეკოწიწებულ ინკლუზიურ განათლებას.

ჯანდაცვის სერვისები

რთული და ჯერჯერობით დაუძლეველი პრობლემები გვაქვს ჯანდაცვის მიმართულებით. შშმ ბავშვები, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, დამატებით სამედიცინო კვლევებს საჭიროებენ. ჯანდაცვის ახლანდელი პაკეტი კი, მხოლოდ იმ მინიმალურ კვლევებს ანაზღაურებს, რაც საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებშია მიღებული.

წლებია სახელმწიფოსგან მოვითხოვთ ჯანდაცვის სოცია-

ინკლუზიური განათლება

ლურ მოდელზე გადასვლას, რაც საშუალებას მოგვცემდა, საჭირო და ჩვენ შვილებზე მორგებული ჯანდაცვის სერვისი მიგვეღო. თუმცა, მოთხოვნა მოთხოვნად დარჩა და განხილვის ეტაპზეც არაა გადასული.

ერთადერთი სუბსიდია, რომელსაც ჩვენი შვილების დიაგნოზი ითვალისწინებს, არის 200-ლარიანი „პენსია“, რომელიც მხოლოდ შშმ სტატუსის მქონე პირებს, ყოველთვიურად, ერიცხებათ. აქაც გვაქვს ხარვეზები, ბიუროკრატიული მექანიზმი, რომელიც შშმ სტატუსის მინიჭებას თან ახლავს, გვიზღუდავს 3 წლამდე ბავშვის საპენსიო კომისიაზე გაყვანას. თუმცა, დაუნის სინდრომი დაბადებისთანავე თვალსაჩინოა და ამ ნოზოლოგიით დაბადებული ადამიანი მთელი ცხოვრების მანძილზე ატარებს, დამატებით, 47-ე ქრომოსომას.

200-ლარიანი „პენსია“ მინიმალურ საჭიროებებსაც ვერ უზრუნველყოფს. როგორც გითხარით, ჩვენი შვილები ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემებით იბადებიან ან, წლების მატებასთან ერთად, იძენენ ახალ დაავადებებს; ჰიგიენური საშუალებები, მედიკამენტები, სარეაბილიტაციო პროგრამები, რომელიც მათი განვითარებისთვის აუცილებელია, სწორედ ფინანსური უზრუნველყოფის არქონის გამო, ყველასთვის ხელმისაწვდომი არაა.

სამწუხაროდ, სახელმწიფოს პოლიტიკის გამო, შშმ ბავშვის ყოლა, სიღარიბის საფრთხეს უქმნის ნებისმიერ ოჯახს.

ფინანსურ კუთხეს ემატება არასაკმარისი სარეაბილიტაციო და განვითარების ცენტრების ნაკლებობა და არაკვალიფიციური კადრები. მშობლები მუდმივ კომუნიკაციაში ვართ ერთმანეთთან, სოციალურ ქსელში შევქმენით დახურული ჯგუფები და ერთმანეთს გამოცდილებას ვუზიარებთ. პირადად მე, 9 წელია მხოლოდ ბარბარესთვის ვცხოვრობ, სამსახურს თავი დავანებე და ყოველდღიურ რეჟიმში ვარ ჩართული ჩემი შვილის განვითარებაში. ესეც ერთგვარი ფუფუნებაა.

ჩვენ გაგვიმართლა

შშმ ბავშვის სკოლაში წასვლა ორმაგად სტრესულია მშობლისთვის, არ იცი როგორი კვალიფიკაციის პედაგოგი დაგხვდება, შეიძლება ძლიერი კადრია, მაგრამ შშმ ბავშვთან მუშაობა სხვა გამოცდილებას და ძალისხმევას მოითხოვს. ჩვენ გაგვიმართლა, სკოლაში უძლიერესი პედაგოგების გუნდი დაგვხვდა, პირველი კლასიდან საგნობრივ სწავლებაზეა და, შესაბამისად, ბევრ მასწავლებელთან უწევს მუშაობა. ვერ გამოვყოფ, რომელ საგანშია უფრო რეალიზებული და ჩართული, ყველა პედაგოგმა შეძლო მისი შესაძლებლობების დანახვა. უკვე მესამე კლასშია, სკოლაში წასვლამდე ვცნობდით ასოებს, ციფრებს, ცოტა სირთულეები გვქონდა წერასთან დაკავშირებით (დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებს წვრილი და მსხვილი მოტორიკის პრობლემები აქვთ), გვიჭირდა ბადეში წერა, მაგრამ ბარბარეს მონდომებამ და მასწავლებლის მიდგომამ შედეგი გამოიღო, ვწერთ და ძალიან ლამაზად.

ძალიან ყოჩაღი გოგოა, მონდომებული, მოწესრიგებული. წელს ყველა საგანში ინდივიდუალური გეგმა მოეხსნა და ჩვეულებრივი პროგრამით აგრძელებს სწავლას.

ყველაზე გასაოცარი მისი მათემატიკური უნარებია, იცის გამრავლების ტაბულა, 1000-ის ფარგლებში მიმატება-გამოკლება, გიხსნის დეციმეტრების, მეტრების, პერიმეტრების მნიშვნელობას, როგორც მასწავლებლები და კლასელები ამბობენ, წარმატებული და ბრწყინვალე გოგოა.

დადის ცურვაზე, ტანვარჯიშზე, ჰყავს უამრავი მეგობარი და კომფორტულად გრძნობს თავს მათთან ურთიერთობისას. ზოგჯერ მგონია, ჩემზე ადეკვატურად რეაგირებს გარემოზე, ადამიანებზე. თავისუფალი, საკუთარ თავში დარწმუნებული გოგოა.

მუდმივად ვსაუბრობთ პრობლემებზე, თუმცა, ასეთი ნათელი წერტილებიც გვაქვს, რაც აუცილებლად უნდა გავაჟღეროთ და დავაფასოთ.

შვილის უფლებების დასაცავად – ყველა გაჭირვების და პრობლემის გასაღები სიყვარულშია

პრობლემები მშობლების ინფორმირებულობის კუთხითაც გვაქვს. ათასი პრობლემის წინაშე მდგარი ზოგიერთი მშობელი კარგავს მოტივაციას, ბრძოლის უნარს. არ იცის როგორ და რა გზით დაიცვას საკუთარი შვილის უფლებები გარეთ, სახლში თუ სკოლაში. არავინ ცდილობს აუხსნას მათ, რა ეკუთვნით, რისი მოთხოვნის უფლება აქვთ. შშმ ბავშვების მშობლებმა არასამთავრობო ორგანიზაციები შექმნეს, ბევრს მუშაობენ, თუმცა, სამუშაო ისევ ბევრია, კუს ნაბიჯებით მივიწევთ წინ.

მშობლების აქტიურობით და ჩართულობით, მშობელთა

ორგანიზაციები შეიქმნა. მათ იტვირთეს საკუთარი შვილების ადვოკატირება და თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნისთვის დაიწყეს აქტიური ბრძოლა. ბევრი დაბრკოლების და წინააღმდეგობის მიუხედავად, სახელმწიფოს და საზოგადოებას მოუწია დათმობებზე და თანამშრომლობაზე წამოსვლა.

წელს თანამოაზრე დედები გავერთიანდით და არასამთავრობო ორგანიზაცია „მეც-Me Too“ დავაფუძნეთ. ორგანიზაციის მიზანი დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების პოპულარიზაცია, ინტეგრაცია და მათ საჭიროებებზე ზრუნვაა, მუდმივად ვფიქრობ მშობლებზე, რომლებიც ახლა გადიან ჩვენს გზას, მინდა ყველას ვუთხრა, ყველა გაჭირვების და პრობლემის გასაღები სიყვარულშია, გიყვარდეთ შვილები, იბრძოლეთ, იშრომეთ მათთვის, სხვის იმედზე ნუ დატოვებთ მათ მომავალს. იბრძოლეთ თქვენი შვილების უფლებებისთვის, იმუშავეთ საკუთარ თავზე. მიუღწეველი არაფერია, სიყვარულით და მოთმინებთ ყველაფერი გამოგვივა.

მშობელი ყველაზე დიდი ძალაა, განათლებული მშობელი კი – შვილის განვითარების გარანტი!

საერთაშორისო კონფერენცია

იქ, სადაც განათლება თანხვედრაშია დემოკრატიასთან

ლალი ჯელაძე

ქართველმა მასწავლებლებმა, 24-26 ოქტომბერს, ქალაქ კანში (საფრანგეთი), eTtwinning-ის ყოველწლიურ შემაჯამებელ კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა, რომელიც „დემოკრატიულ ჩართულობას“ მიეძღვნა.

„იქ, სადაც განათლება თანხვედრაშია დემოკრატიასთან“ – ამ სახელწოდების მქონე კონფერენციას 500-მდე მონაწილე, მათ შორის, 4 ქართველი მასწავლებელი ჰყავდა. **ნინო თამარაშვილი** („სკოლა ოპიზა“, ინგლისური ენის მასწავლებელი), **მაკა მარჯანიძე** (ქარელის №2 საჯარო სკოლა, ინგლისური ენის მასწავლებელი), **ციცი ჭანტურია** (წალენჯიხის №2 საჯარო სკოლა, ინგლისური ენის მასწავლებელი), **ინგა გოგალაძე** (დაბა სურამის №4 საჯარო სკოლა, ინგლისური ენის მასწავლებელი).

როგორ საზოგადოებაში იცხოვრებენ ჩვენი შვილები ხვალ? როგორ შეძლებენ მომავალში საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებში სრულად ჩართვასა და მონაწილეობას? – ეს ის კითხვებია, რომლებიც კონფერენციაზე განხილულ თემებს დაედო საფუძვლად.

კონფერენციის პირველ დღეს 2019 წლის ევროპის პრიზის მფლობელები გამოვლინდნენ. მეორე დღეს, მასწავლებლები სხვადასხვა სამუშაო შეხვედრასა და სემინარებში მონაწილეობდნენ. eTwinning-ის ელჩებმა კონფერენციის მონაწილეებს საკუთარი საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები და გამოცდილება გაუზიარეს.

სასწავლო აქტივობის დასრულების შემდეგ, სპეციალისტთა და ექსპერტთა მონაწილეობით, გაიმართა მსჯელობა საკითხზე: *„როგორ შეიძლება ზემოქმედება მოვახდინოთ სასკოლო სისტემაზე, მათი დემოკრატიულობის ხარისხის ამაღლების მიზნით?“*. აღნიშნული მსჯელობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგად უნდა ჩაითვალოს ბელგიელი მოსწავლის, **ბერკან ალჩის** მიერ გამოთქმული თამამი მოსაზრება, რომელმაც განაცხადა: *„თუ თქვენს მოსწავლეებს ავტონომიასა და მოქმედების თავისუფლებას მისცემთ, აღმოაჩენთ, რომ ყველაზე პასიური მოსწავლეც კი მოტივირებული გახდება“.*

კონფერენციის მეორე დღეს ჩატარდა მრავალფეროვანი და საინტერესო სამუშაო შეხვედრები, სადაც პედაგოგებმა ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს, მცირე ჯგუფებში იმუშავეს და სწავლების სხვადასხვა მეთოდებზე იმსჯელეს – სწავლა კეთებით, საჯარო საუბრების ტექნიკა, ასევე სკოლებში არსებულ დემოკრატიულ ორგანოებზე, რა აქტივობებითაა შესაძლებელი, დაეხმარონ მოსწავლეებს იმის გაცნობიერებაში, რას ნიშნავს დემოკრატია. კონფერენციის მესამე დღე მთლიანად დაეთმო საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების გაზიარებას. მონაწილეები აქტიურად ჩაებნენ ინტერაქტიულ სასწავლო აქტივობაში, რომელიც დემოკრატიის თემას ეძღვნებოდა. ისინი, სხვა მონაწილეების წინაშე, საკუთარი იდეებით წარდგნენ, ცდილობდნენ კოლეგების დარწმუნებას, განხილვებშიც მიიღეს მონაწილეობა და, საბოლოოდ, კენჭისყრის საფუძველზე, საუკეთესო იდეა აირჩიეს.

კონფერენციის ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული, სახალისო და მრავლისმომცველი ეტაპი იყო მუშაობა პროექტზე, სახელწოდებით – „ითვინლანდია“, რომელიც სამივე დღეზე განაწილებულ აქტივობებს მოიცავდა. მისი შინაარსი დემოკრატიის თემას უკავშირდებოდა და, ამასთანავე, სახალისოდ და ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობდა.

მონაწილეები სხვადასხვა ჯგუფებში გადანაწილდნენ. მათ ერთნაირი დავალება მიეცათ, რომლის პრეზენტაციაც კონფერენციის დასკვნით ნაწილში მოაწყვეს. ხმის მიცემის სისტემით კი, გამოვლინდა გამარჯვებული ჯგუფი.

სამდღიანი კონფერენცია ნაყოფიერი იყო eTwinning Plus ქართული სკოლების წარმომადგენლებისთვის, მათ შეძლეს საკუთარი პრაქტიკის გაზიარება და ევროპელი კოლეგების ინტერესის გაღვიძება, ასევე, პირდაპირი კონტაქტის გზით, იდეებიც მოიძიეს ახალი პროექტებისთვის.

eTwinning Plus-ის პროგრამის კოორდინატორი **ხატია მატკავა** მნიშვნელოვნად მიიჩნევს, პროგრამა ჩვენს მასწავლებლებში ძალიან დიდ ინტერესს რომ იწვევს და დღეის მონაცამებით, უკვე 1200 მასწავლებელია ჩართული. მათ მიერ დაგეგმილი და განხორციელებული პროექტების რაოდენობა კი, ყოველწლიურად, რამდენიმე ასეულით მდიდრდება.

„2019 წელს eTwinning-ის ყურადღების ცენტრში დემოკრატიული ჩართულობა მოექცა. ჩვენც შევუერთდით პროგრამის ინიციატივას და მთელი წელი აღნიშნული თემის გარშემო დავგეგმეთ სხვადასხვა ტიპის აქტივობები. მაგალითად, გამოვაცხადეთ პროექტების კონკურსი დემოკრატიის თემაზე. მასწავლებლებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს აღნიშნულ კონკურსში და მათ მიერ განხორციელებული პროექტები წარმოადგინეს, წახალისებისა და მოტივაციის მიზნით, საერთაშორისო სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობის საშუალება მივეცით.

წელს უკვე 13-მა მასწავლებელმა მიიღო მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებაში, მათ შორის, საფრანგეთში, შემაჯამებელ კონფერენციაში, რომლის მონაწილე პედაგოგები eTwinning-ის აქტიური წევრები არიან, უკვე რამდენიმე წელია, პროგრამასთან ძალიან ნაყოფიერად თანამშრომლობენ. წლის შემაჯამებელი კონფერენცია, ტრადიციულად, ძალიან მასშტაბურად ტარდება და იქ იყრიან თავს პროგრამის მონაწილეები და განათლების სფეროს წარმომადგენლები, ევროპის 44 ქვეყნიდან. თუ მასწავლებლები, მთელი წელი, ევროპელ კოლეგებთან დისტანციურად თანამშრომლობენ, ამ ტიპის ღონისძიებებზე უკვე პირისპირ შეხვედრების საშუალება ეძლევათ. ზოგადად, უცხოელ კოლეგებთან პირისპირ შეხვედრა და კომუნიკაცია ქართველი მასწავლებლებისთვის ერთგვარი მოტივატორია.“

პროგრამა, თავისი არსით, ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიული კულტურის მისაღწევად, როგორიცაა ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება, მოსმენა და დაკვირვება, თანაგრძნობა, თანამშრომლობა და კონფლიქტების მოგვარება. ამ უნარების საშუალებით, eTwinning ხაზს უსვამს აქტიური მოქალაქის უპირატესობებს და აჩვენებს, რომ მასწავლებლებს შეუძლიათ, წვლილი შეიტანონ მდგრადი დემოკრატიის შექმნის საქმეში. *„ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობს ამ თემის გარშემო და მოსწავლეებისთვის გამოცხადებული გვაქვს კონკურსი დემოკრატიის თემაზე. გამარჯვებული ნამუშევრების გამოვლენა და მოსწავლეთა დაჯილდოება დაგეგმილი გვაქვს წლის შემაჯამებელ კონფერენციაზე, რომელიც თბილისში, დეკემბერში ჩატარდება.“* – ამბობს ხატია მატკავა.

ადამიანმა უნდა დაამშვენოს ტიტული და არა პირიქით

ირაკლი თავაძე

მაკიაჟის, მოდური კაბეგისა და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელების ნაცვლად – იაპონური კიმონო და ტატამი; შოპინგების და მეგობრებთან მუსაიფის ნაცვლად – მუდმივად ვარჯიში, შეკრებები და დამღლელი გადაფრენები სხვადასხვა ქვეყნებში; მშვიდი ცხოვრების ნაცვლად – დიდი სპორტის ყოველდღიური მომქანცველი რუტინა, რასაც ბევრი ბიჭიც ვერ უძლებს, არათუ გოგო, მაგრამ მან გაუძლო და უფრო მეტი შემართებით აგრძელებს იმავე რუტინულ ცხოვრებას. „მეგობროების დღიურების“ ნაცვლად, ის ქართული ძიუდოს ისტორიას წერს – გახდა პირველი ქართველი ძიუდოისტი ქალი, რომელიც ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა. ამ რუტინის დაძლევაში მას სვანური ხასიათიც დაეხმარა – მებრძოლი, შეუდრეკელი, შემტევი, ჭინიანი და მიზანდასახული. ალბათ, ცოტათი მკაცრიც, თორემ პატარა მხრებით, 20 წლის ასაკში, ამდენ სიძნელეს მარტო ვერ დაძლევდა.

ჯერ კიდევ 8 წლისამ დაამსხვრია ჯეგირები, როცა ლენტეხში, მკაცრად ტრადიციულ მხარეში, საკუთარი დედისა და გარშემომყოფთა უმრავლესობის უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, ცეკვის, ჭადრაკის, ხატვა-ფერწერის, ძსოვა-ძარგვის ან სხვა ამგვარი, „გოგონებისთვის მისაჯილი“ სფეროების ნაცვლად, ძიუდოს დარბაზს მიაშურა, იმხანად მისთვის ჯერ კიდევ უცხო სამოსს – იაპონურ კიმონოს თამამად წაეპოტინა და მიზნად დიდი ტიტულების, სახელის მოხვეჭა დასახა... მას შემდეგ ენგურის ტალღებივით ბევრმა წყალმა ჩაიარა, პატარა გოგომ კი ამ მიზნის მისაღწევად არაერთი ღამე გაათენა ტირილში, არაერთხელ მოითმინა მშობლების, ოჯახის, ახლოგლეების მონატრება, არაერთხელ დაუდგა თვალწინ მშობელი დედა. სამაგიეროდ, მთიდან დაგორებული ზვავივით შეიჭრა მსოფლიო ძიუდოს ელიტაში, ტიტულებით და სახელ-დიდებით გაზულუქებული დედისტოლა ქალები მისწი-მოსწია და მშობლიურ სვანეთს უკვე წარმატებული სპორტსმენის რანგში უბრუნდება – ახალგაზრდებს შორის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, ტოკიოს 2020 წლის ოლიმპიადის ლიცენზიის ფაქტობრივი მფლობელი: ამ წუთისთვის რეგიონული კვოტით ხვდება ოლიმპიადაზე, თუმცა ეჭვიც არავის ეპარება, რომ მალე ქულებითაც გაინაღდებს ტოკიოს საგზურს. დღეს მისით არა მარტო სვანეთი, არამედ მთელი ქვეყანა ამაყობს...

ამბობს, რომ ძიუდო მისთვის მთელი ცხოვრებაა, თუმცა ისიც კარგად ესმის, რომ ეს ჯერ მხოლოდ დიდი გზის, ისტორიის დასაწყისია, წარმატება კი მაშინაა უკვდავი, როცა ყველა მწვერვალს დაიპყრობ! ისიც მზადაა ამისთვის და ამიტომ ისევ ითმენს ყველაფერს: დიდი სპორტის ყოველდღიურ რუტინას, მშობლების, ოჯახის მონატრებას, მაკიაჟსა თუ მაღალქუსლიან ფეხსაცმელს, მეგობრებთან გართობას და თავისუფალი დროის მუდმივ დეფიციტს...

ეს ეთერ ლიპარტელიანია – ცქრიალა და ლამაზი გოგო ლენტეხიდან, ამ დღეებში ძიუდოში მსოფლიო ჩემპიონი რომ გახდა ახალგაზრდებში, მანამ კი, იმავე წარმატებას ევროპის ჩემპიონატზე მიაღწია. ერთი კვირაც არაა, რაც მაროკოდან დაბრუნდა, მსოფლიო ჩემპიონი გახდა, მაგრამ არც კი დაუსვენია, მაშინვე იჟევსკში გაფრინდა, სადაც უკვე 23-წლამდელთა შორის გახდა ევროპის ჩემპიონი... ძნელია ასეთი რეჟიმი, მაგრამ ეს მისი ყოველდღიურობაა, ეს გზა მან თავად აირჩია... სამაგიეროდ, თავის დროზე ლეგენდარული „მზიურის“ ლეგენდარულ გოგონებზე ნათქვამი ფრაზა რომ გადავაკეთოთ, აჩვენეთ ეს გოგო და მისი თანაგუნდელები თანატოლებს და ბევრი მათგანი სწორ გზას იპოვის ცხოვრებაში.

მაროკოში წასვლამდე ევროპელებმა ის მსოფლიო ჩემპიონატის ყველაზე პერსპექტიულ გოგონათა 5-ეულში დაასახელეს, იჟევსკში გამგზავრებამდე კი, 2019 წლის სუპერვარსკვლავი უწოდეს.

– ეთერ, მსოფლიო ჩემპიონატი მაროკოში ისე დამაჯერებლად მოიგეთ, თითქოს არც გაგჭირვებიათ, თუმცა, ცხადია, ასეთი დონის ტურნირის მოგება იოლი არ იქნებოდა... როგორ მიგაჩნიათ, რის ხარჯზე მოიპოვეთ ეს ისტორიული წარმატება?

– ამ ჩემპიონატისთვის კარგად ვიყავი მომზადებული, მწვრთნელებთან და თანაგუნდელებთან ერთად ძალიან ბევრი შრომა ჩავდე ამაში. ისინი ყველაფერში ხელს მიწყობდნენ და შედეგმაც არ დააყოვნა. ჩემი თავისაც მჯეროდა, რომ მზად ვიყავი შედეგის მოსაპოვებლად და ყველაფერი გავაკეთე ამისთვის. მართლაც თავდაუზოგავად ვშრომობდი, ყველაფერი გადადებული მქონდა ამ მიზნისთვის, საბედნიეროდ, დამიფასდა შრომა და წვალება.

– მსოფლიო ჩემპიონატამდე ევროპელებმა ხუთ ყველაზე პერსპექტიულ გოგონას შორის დაგასახელეს. იცოდით ამის შესახებ?

– კი, ვიცოდი და ამან დიდი მოტივაციაც მომცა – სხვებს სჯერათ ჩემი და მე რატომ არ უნდა მჯეროდეს ჩემი თავისა-მეთქი. ამიტომ უფრო მეტად ვირწმუნე საკუთარი ძალების.

– განსაკუთრებით ძლიერად დამამთავრებელი ეტაპი ჩაატარეთ – ბოლო ორ შეხვედრაში, სადაც, წესით, ყველაზე ძლიერი მეტოქეები უნდა გყოლოდათ, კორეელს და იაპონელს საოცარი იპონებით მოუგეთ. იყავით მათთან შენახვედრი?

– არა, არ მქონდა ნაჭიდავები, თუმცა კორეელი მიმი ჰუჰის ჭიდაობა კი ვიცოდი. მასთან ვაზარი დავკარგე, მაგრამ მჯეროდა, ამ სხვაობას გავაბათილებდი და მოვუგებდი, ჩემს თავში დარწმუნებული ვიყავი. მართლაც მალევე დავაგდე იპონზე. ჩატარებული შეხვედრებიდანაც ამ პაექრობას გამოვარჩევ, რადგან გდება მხოლოდ კორეელმა გამიკეთა – მანამდე არც ევროპის ჩემპიონატზე და არც მაროკოში სხვა შეხვედრებში ილეთი არ დამიკარგავს. ბუნებრივია, ყველა მეტოქე სათანადოდ უნდა შევაფასოთ, მაგრამ სხვებთან შედარებით მაინც ამ კორეელს გამოვარჩევ, როგორც ერთადერთი ილეთის ამღებს. ფინალში იაპონელ კანაკო ჰაკამატასთან თავისუფლად შევედი საჭიდაოდ, საბრძოლველად. ძალიან მინდოდა ჩემპიონობა და არ ვაპირებდი მეორე ადგილით დაკმაყოფილებას. მასთან ერთი წუთიც არ დამჭირვებია, იმასაც მალევე მოვუგე.

– შედეგის გამოცხადების შემდეგ იაპონელი ძალიან ღირსეულად მოიქცა: კორეელი თუ გაოგნებული იყურებოდა აქეთ-იქით და, მგონი, ვერც მიხვდა, რა გაუკეთეთ, როგორ მოუგეთ, იაპონელის ქცევაში თქვენდამი პატივისცემა იგრძნობოდა. ჩანდა, რომ დაგაფასათ, როგორც ძლიერი მოწინააღმდეგე.

– კორეელი მართლაც დაიბნა. ალბათ, არ ეგონა, თუ დაეცემოდა. ხიდზე გადაიარა და ისე დავარდა. თავიდან მსაჯებიც დაფიქრდნენ, იპონი მაშინვე არ აუწევიათ, ვიდეოგამეორება მოითხოვეს და მხოლოდ ამის შემდეგ მომცეს იპონი. იაპონელები კი ყოველთვის ასე იქცევიან – ისინი პატივს სცემენ ყველა მეტოქეს.

– ტურნირის დასრულების შემდეგ თუ მოვიდა რომელიმე, თუ მოგილოცეს? საერთოდ, ქალთა ძიუდოში ხდება მსგავსი რამ?

– არა, იქვე მივულოცეთ ერთმანეთს. მეორე დღესაც მივესალმეთ, მეტი არაფერი. როგორც გითხარით, ორივე პირველად ვნახე და კარგად არ ვიცნობდი არც ერთს.

ტატამს მიღმა ურთიერთობებს რაც შეეხება, ქალები, ამ მხრივ, ბიჭებისგან მაინც ცოტა განსხვავებულები არიან, თითქოს თავს იფასებენ. ბიჭებს რომ ვუყურებ, იცნობენ თუ არა ერთმანეთს, მაინც ესალმებიან, ქალები კი ტატამზე მეგობრობენ, მის მიღმა – არა. ტატამზე თუ სჭირდები სპარინგ-პარტნიორად, მაშინ კიდეც გესალმებიან, კიდეც გილოცავენ, ისე კი გვერდზე რომ ჩაგივლიან, იშვიათად თუ მოგესალმებიან. მაგალითად, კოსოვოელებს დიდად არც აძლევენ სხვებთან მისალმების უფლებას და ისინიც იშვიათად თუ დაგეკონტაქტებიან.

– ანგარიშსწორებაც ხომ არ ხდება, როცა წაგებით განაწყენებულები ტატამს მიღმა ცდილობენ საქმის გარჩევას?

– კი, ასეთებიც ხდება, თუმცა ჩვენ შემთხვევაში არ ყოფილა. ისე კი, ერთ შემთხვევას გავიხსენებ, როცა მეტოქე წაგებამ გაანაწყენა: კოსოვოელ ნორა გიაკოვას ვეჭიდავებოდი. დგომიდან დავაგდე და ქვეჭიდში ვაგრძელებდით, სადაც ხელს მიჭიმავდა. თუმცა მსაჯმა „მატე“ გვითხრა, მაგრამ რომ ვდგებოდით, ის მაინც არ მეშვებოდა, ცდილობდა, ტკივილი მოეყენებინა ჩემთვის. ხელი ძალით გავაშვებინე, მაგრამ მაინც აგრძელებდა, ტატამის გარეთ გამიყვანა. ძალიან გაბრაზებული ვიყავი, რადგან მეტკინა კიდეც. სხვათა შორის, მისმა მწვრთნელმაც დატუქსა – შიგნით მოუგე, რატომ ეუხეშებიო...

არიან ასეთი უხეში სპორტსმენებიც. თან მე, რაკი პატარა ვარ, მეუხეშებიან და ცდილობენ, ძალით დამჩაგრონ, მაგრამ რომ არ გამოსდით, მერე ბრაზდებიან და ნერვები ეშლებათ.

– უცხოელებთან თუ მეგობრობთ?

– კი, ვმეგობრობთ, როგორ არა, ბევრი მეგობარიც გვყავს უცხოელებში. მაგალითად, ვმეგობრობთ ჰოლანდიელებთან. შეიძლება, ტატამზე არ ვზოგავთ ერთმანეთს, მაგრამ ვმეგობრობთ.

– ჰოლანდიელებს ევროპაზეც მოუგეთ და ახლაც, მსოფლიოზე – სხვადასხვა სპორტსმენებს. ხომ არ განაწყენდნენ ისინი ამ წაგებების გამო?

– ორივესთან ვმეგობრობ. მსოფლიო ჩემპიონატზე ფოტოშიც ჩანს, კვარცხლბეკზე რაღაცაზე ვიცინით კიდეც.

– რამდენიმე ტურნირია, შეხვედრა არ წაგიგიათ – უკვე 22 შეხვედრაა. ალბათ, ესეც დიდი სტიმულია.

– 23 შეხვედრა! ცხადია, ეს მართლაც დიდი სტიმულია, რადგან მუდამ ვცდილობ, ყველა პაექრობა დამაჯერებლად მოვიგო; ვფიქრობ, არ წავაგო და თავისუფლად გავდივარ ტატამზე; ვცდილობ, გდებები არ გავუშვა. კორეელის გარდა, გდებები მართლაც არ გამიშვია – არც ევროპაზე და არც მსოფლიოზე, არც პირადში და არც გუნდურში.

– რა არის თქვენთვის ძიუდო?

– ძიუდო ჩემთვის მთელი ცხოვრებაა და ძალიან მიყვარს. ყველაფერია: პროფესიაც, გატაცებაც, სიყვარულიც და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ სპორტის ეს სახეობა ავირჩიე. კიდევ ის მიხარია, რომ წილად მერგო, დავწერო ქართული ძიუდოს ისტორია: ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი პირველი ქართველი ქალი ვარ ძიუდოში, თუმცა წინ კიდევ ბევრი ისტორიაა დასაწერი: უფროსებში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონობა, ოლიმპიადა, კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ტურნირი. ძალიან მიხარია და მადლობა უფალს, რომ ამ ისტორიის დაწერის პატივი წილად ჩვენ გვერგო – მე და კიდევ რამდენიმე გოგონას.

– თუმცა ამ ისტორიამ სხვა, გოგონებისთვის დამახასიათებელი, გატაცებებიც შეინირა. ამაზე არ გწყდებათ გული?

– როცა ჩვენი თანატოლი გოგონები ერთობოდნენ, ჩვენ სულ ვვარჯიშობდით და იმის თავიც არ გვქონდა, დაბადების დღეზე ან სადმე გასართობად წავსულიყავით. ოჯახიც მენატრებოდა, ვერც ოჯახთან გავატარე დიდი დრო – 10 წლიდან თბილისში ვარ, ბიძა მზრდიდა, მან აიღო ჩემზე მეურვეობა. დედ-მამაც მენატრებოდა და და-ძმებიც. თუმცა, არც გართობაზე მწყდება გული და არც სხვა არაფერზე, ყველაზე მეტად ისაა გულდასაწყვეტი, რომ ბავშვობა ჩემს ოჯახთან – მშობლებთან და დედ-მამიშვილებთან ვერ გავატარე. თუმცა, ახლა ისინი ძალიან ბედნიერები და ამაყები არიან ჩემით. სამწუხაროდ, ჯერ სვანეთში ჩასვლა ვერ მოვახერხე, რადგან ახლა 23-წლიანთა ევროპის ჩემპიონატზე მივდივარ. იმედია, იქიდან დაბრუნებული რამდენიმე დღით მოვახერხებ სვანეთში წასვლას, მანამ კი ჩემი ოჯახის წევრები იყვნენ ჩამოსულები აქ, მსოფლიო ჩემპიონატიდან დაბრუნებულს აეროპორტში დამხვდნენ.

– 10 წლის ბავშვისთვის ძალიან ძნელი იქნებოდა ოჯახიდან წამოსვლა, სულ სხვა გარემოში, უცხო საზოგადოებაში, უცხო ხალხში ადაპტირება...

– კი, თავიდან ძალიან გამიჭირდა. 10 წლის ბავშვი ბიძასთან ვიყავი, მის გარდა არც ბიძაშვილები მყავდა და არც არავინ. მარტო ვიყავი სახლში და მენატრებოდა ოჯახი, მშობლები, და-ძმები, ბიძაშვილები და ყოველ ღამე ვტიროდი ხოლმე. თან რომ დავინახავდი, სხვა მშობლები ეფერებოდნენ თავიანთ შვილებს, სულ დედაჩემი მენატრებოდა. ჩემი უმცროსი და 9 წლისაა და სულ იმას ვფიქრობ, ეს რომ მოვაცილო მშობლებს... თან მე რუსთავიდან დავდიოდი სავარჯიშოდ დიღმის მასივში. 12 წლამდე ბიძაჩემს დავყავდი, მერე კი არ მინდოდა მისი შეწუხება და მარტო დავდიოდი. ვარჯიშის შემდეგ ორთაჭალამდე ჩემს მწვრთნელს – კახა მოცრაძეს მივყავდი, იქ ჩამსვამდა რუსთავის ტრანსპორტში, რუსთავში კი გაჩერებაზე ბიძა მხვდებოდა.

– ალბათ, პერიოდულად, მაკიაჟი, მაღალქუსლიან ფეხსაცმელზე შედგომა და გოგონებისთვის დამახასიათებელი სხვა გატაცებებიც გახსენებთ თავს...

– გაპრანჭვის დროც გვრჩება, თუმცა, ვცდილობ სულ სპორტულ რეჟიმში ვიყო.

– მშობლები იოლად დაეთანხმნენ თქვენს სურვილს, გევარჯიშათ ძიუდოში? საერთოდ, ეს ვისი იდეა იყო, როგორ მოხვდით ამ სპორტში?

– თავიდანვე ცელქი ვიყავი და თავადაც მინდოდა, რაიმე სპორტით დავკავებულიყავი. ლენტეხში ძიუდოს დარბაზი ჩემთან ახლოს იყო და იქ მივედი, თუმცა მეკლდეურობაზეც დავდიოდი და საქართველოს ჩემპიონატში მეორე ადგილზეც გავედი. იქაურ მწვრთნელსაც უნდოდა, მეკლდეურობაში დავრჩენილიყავი, მაგრამ იქ იმიტომ დავდიოდი, რომ მინდოდა, ხელები გამეძლიერებინა, რაც მერე ძიუდოში გამომადგებოდა. დედა წინააღმდეგი იყო ძიუდოზე ჩემი მისვლისა, მამა კი ყველანაირად ხელს მიწყობდა. თან, სვანი ხალხი ტრადიციულია და ამბობდნენ, რა უნდა გოგოს ჭიდაობაზეო. გოგოს ჭიდაობაში იმდენად კარგად ვერ აღიქვამდნენ, თუმცა ახლა ყველა გახარებულია ჩემი მიღწევებით და ბევრი სიცილით იხსენებს კიდეც, როგორ გიშლიდით ძიუდოში ვარჯიშსო. ახლა მშობლებიც ბედნიერები არიან.

როგორც გითხარით, ლენტეხში დავიწყე ვარჯიში, მაგრამ მაშინ 8 წლისა ვიყავი და იმდენად სერიოზულად არ ვეკიდებო-

სტუმარი

დი. 10 წლისა უკვე თბილისში წამოვედი, სადაც კახა მოცრაძესთან მიმიყვანა ბიძაჩემმა. ის და გია თენაძე ერთად მუშაობდნენ, ისინი ყველანაირად ხელს მიწყობდნენ და შვილებივით გაგვზარდეს. იმდენ დროს თავიანთ ოჯახებთან არ ატარებდნენ, რამდენსაც – ჩვენთან; ცდილობდნენ, ყველაფერი ესწავლებინათ და გამოუვიდათ კიდეც. მეც, მარიამ ჭანტურიაც, სოფიო სომხიშვილიც, მარიამ ჯანაშვილიც და კიდევ რამდენიმე მართლა მათი გაზრდილები ვართ.

– ოჯახს თუ ჰქონდა სპორტული ტრადიციები, თქვენი და-ძმები თუ დადიოდნენ სპორტზე?

– უფროსი და-ძმა მყავს, მაგრამ არც ერთი არ ყოფილა სპორტით დაკავებული. და ცეკვავდა, მაგრამ მერე თავი დაანება, ახლა ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლობს, ძმას კი არ ჰქონია შეხება სპორტთან. ასევე მყავს პატარა და – 9 წლის თამარი, ძალიან უნდა, ძიუდოისტი გახდეს. ბუნებრივია, მე არ დავაძალებ, მაგრამ ყველანაირად ხელს შევუწყობ, რომ წარმატებული იყოს.

– ბანალური კითხვა, მაგრამ გვერდს ვერ ავუვლით: სპორტმა რა მოგცათ?

– უპირველესად – სახელი, რისთვისაც ვწვალობ და ვშრომობ. მინდა, ამ ქვეყანაზე დავტოვო ჩემი სახელი და ჯერ-ჯერობით ვქმნი ამას. ჯერ პატარ-პატარა სახელს ვქმნი, მაგრამ მინდა, ოლიმპიადაზეც მივიღო მონაწილეობა, უფროსთა სხვა დიდ ტურნირებზეც და დავწერო ისტორია.

– თანატოლებთან პაექრობაში სუსტი მხარეები თითქმის არ გიჩანთ, მათ რამდენიმე თავით აღემატებით. თუმცა უკვე უფროსებთან მოგიწევთ დაპირისპირება, იქ კი სხვა მოთხოვნებია. მწვრთნელები აქცენტს რაზე აკეთებენ, რა უნდა გააძლიეროთ თქვენში, მათთანაც ისეთივე წარმატებით რომ იჭიდაოთ?

– გაძლიერება მართლაც ბევრ რამეშია საჭირო. შორიდან იქნებ მართლაც სხვანაირად ჩანს, მაგრამ უფროსებთან საჭიდაოდ საჭიროა, ხელები მქონდეს ძლიერი. ამაზე ვმუშაობთ მწვრთნელებთან ერთად, ვსწავლობთ ყველა სპორტსმენს, რომ ვიცოდეთ მათი სუსტი და ძლიერი მხარეები. ერთი სიტყვით, ბევრ რამეზე ვმუშაობთ და მწვრთნელები მართლაც ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ წარმატებულები ვიყოთ. თან ახლა გუნდური შეჯიბრება გაერთიანდა, ბიჭები და გოგონები ერთ გუნდად ვჭიდაობთ და ვცდილობთ, ბიჭებს ხელი შევუწყოთ ყველანაირად.

– უცხოელების შეფასებები როგორია თქვენს გამოსვლებზე? მახსენდება ფრანგთა ოლიმპიური ჩემპიონის, ლუსი დეკოსის რეაქცია ორი წლის წინ, ჭაბუკებში, ჩვენი ნაკრების კარგ გამოსვლაზე, როცა ლამის მოთქვამდა, რა გვეშველება, ქართველმა გოგონებმა ასე თუ გააგრძელეს, ჩვენ სადღა მოვიპოვოთ მედლები. ასევე მახსენდება, იმავე წელს, უნგრელთა ოლიმპიური ჩემპიონის, ანტალ კოვაჩის შეფასებაც, ჩემს დროს ქართველებს მხოლოდ ვაჟები გყავდათ, ახლა კი რამდენად ძლიერი გოგონების თაობა გამოგიჩნდათო...

– შეფასებები ბევრია, თუმცა უცხოელები ჩვენთან იმდენად არა, უფრო მწვრთნელებთან მიდიან და იმათ ეუბნებიან. მაგალითად, ამ მსოფლიო ჩემპიონატზე კორეელს რომ მოვუგე, რუსი კამალ ხან-მაგომედოვი მისულა მწვრთნელებთან და გაოცებულს უთქვამს, ამ ილეთს ბიჭები ვერ აკეთებენ, რა მაგარი ნელი ჰქონიაო. ყველა აღნიშნავს, რომ ჩვენთან წამოვიდა ქალთა ძიუდო. თან, მწვრთნელებიც, მსაჯებიც გვაქებენ, ძალიან ზრდილობიანები არიან, იციან ტატამზე მოქცევაო. სხვები თუ დროის გაყვანას ცდილობენ, ესენი სულ უტევენ და ცდილობენ, ილეთებით მოიგონო. ძალიან სასიხარულოა ასეთი შეფასებები და მწვრთნელებსაც უხარიათ, შრომა რომ დაუფასდათ. მიმაჩნია, რომ პიროვნული თვისებები უმთავრესია – ადამიანმა უნდა დაამშვენოს ტიტული და არა პირიქით, ტიტულმა ადამიანი.

– ილეთები და სტილი მართლაც გამორჩეული გაქვთ – ლამაზი, ტექნიკური, ხშირად კომბინაციური, რასაც ბიჭები ხშირად მართლაც ვერ აკეთებენ. ეს შრომით მოვიდა, ნიჭია თუ ქართულს ჭიდაობდით ბავშვობაში?

– არა, ქართულს არ ვჭიდაობდი, ეს ყველაფერი შრომით მოვიდა. ყოველთვის მიტაცებდა ძნელად შესასრულებელი, სახიფათო ილეთები. იყო ადვილად გასაკეთებელი ფანდებიც, მაგრამ მე მუდამ მერჩივნა, უფრო რთულები მესწავლა. კი მიჭირდა, არ იყო ადვილად შესასრულებელი და ბევრი დროც დასჭირდა სწავლას, მაგრამ სხვა ბევრი ილეთიც ვიცი, რომლებსაც (იმედია, ნელ-ნელა გავიხსნები) თანდათან გამოვავლენ ტატამზე. ძალიან დიდხანს ვამუშავებდი მათ, მიხარია, რომ მათ შესწავლაში დრო ტყუილად არ დავკარგე.

– ხასიათითაც გამორჩეული ხართ: არ გახასიათებთ ვარსკვლავური ავადმყოფობა, ახალი წარმატება ახალ სტიმულს გაძლევთ, ხოლო შემტევი ხასიათით ბევრ ბიჭსაც სჯობიხართ...

– ყველა წარმატება გასახარია, მაგრამ შეიძლება გაგიხარდეს ერთი დღე, თუმცა მაშინვე უნდა დაიგიწყო და ახალ მიღწევაზე დაიწყო ფიქრი. წარმატება არ უნდა გაგყვეს ერთი თვე – ეს ჩემი დევიზია. კი, მიხარია, მაგრამ იმავე დღეს ვივიწყებ და ისევ ჩვეულებრივად ვაგრძელებ ვარჯიშს, უკვე სხვა მიზნებისთვის. ახლაც მეამაყება, რომ გავხდი მსოფლიო ჩემპიონი, მაგრამ ეს ჯერ არაფერია, ეს მხოლოდ დიდი მომავლის დასაწყისია.

– მიმდევრები თუ გამოგიჩნდათ გინდ სვანეთში, გინდ – თბილისში? თქვენმა და თქვენი თანაგუნდელების წარმატებამ ქალთა ძიუდოსადმი ინტერესი თუ გამოიწვია?

– სვანეთში არ ვიცი, მაგრამ ფეისბუქზე კი დამიკავშირდა რამდენიმე გოგონა თბილისიდან, ვარჯიშის დაწყება გვინდაო და რამდენიმე მოვიდა კიდეც. მეტი პოპულარიზაცია სჭირდება, რადგან რთული სპორტია, საჭიროა ახალი ხალხის მოსვლა, რათა მასობრიობა გაიზარდოს და კონკურენციამ იმატოს.

გამოცდილება

მოზარდის ფსიქოლოგია

მოზარდს მივცეთ საშუალება პიროვნებად ჩამოყალიბდეს და საკუთარი ადგილი იპოვოს საზოგადოებაში სკოლის დასრულების შემდეგ... დავეხმაროთ მას...

აღზრდა – ეს არის მიზანმიმართული ფორმირების პროცესი, რათა მომზადდეს მომავალში ბავშვის მონაწილეობა სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში, შესაბამისად, აღნიშნულ პროცესში, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს სოციალურ-კულტურული და ნორმატიული მოდელები.

მოზარდობის ხანა ადამიანის ცხოვრებაში ალბათ ყველაზე რთული პერიოდია. მოზარდობისას იცვლება სხეული, მისი ზომები, ფორმები, იცვლება კანის სტრუქტურა. ეს ფაქტი ხშირად საკუთარ თავთან გაუცხოებას განაპირობებს, თითქოს მოზარდი სხვა სხეულში გადასახლდა.

ყველა ადამიანი, ზრდის და განვითარების დროს, სხვადასხვა ასაკში, გადის კრიზისულ პერიოდებს. მაგალითად, კრიზისი იწყება სამი წლის ასაკში, შემდეგ, ექვსი-შვიდი წლის ასაკში. ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი კრიზისია თინეიჯერობის ასაკი, რომლის დროსაც მოზარდს ძალიან ბევრი სხვადასხვა მიმართულების და შინაარსის პრობლემა ექმნება. მათგან ყველაზე აქტუალურია საკუთარი თავის მიმღეობის (უჭირს საკუთარი თავი მიიღოს ისეთი, როგორიც არის) და თვითშეფასების თემა, კომუნიკაცია ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან, საკუთარი თავის დამკვიდრების თემა. ამ დროს ხშირია ცხოვრებიდან მშობლების მოკვეთის მცდელობა, დამოუკიდებლობის მოპოვებისკენ სწრაფვა, ჩაკეტილობა და ა.შ.

ბავშვის განვითარების ურთულეს გზაზე სხვადასხვა პრობლემები იჩენს თავს. აუცილებელია, ვიცოდეთ ყველა მოსალოდნელი საშიშროების შესახებ და მზად ვიყოთ პრობლემებთან საბრძოლველად.

გარდატეხის ასაკის პრობლემების შესახებ ყველამ იცის. ყველას გაუგონია, რომ ამ დროს მოზარდს ქცევა ეცვლება, ხდება უფრო ჯიუტი, ხშირად – აგრესიული (განსაკუთრებით – უფროსების მიმართ), ზოგჯერ საკუთარ თავში იკეტება, ეცვლება ხასიათი და ინტერესთა სფერო, უჩნდება სწავლისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება, რასაც განსაკუთრებით მძაფრად აღიქვამენ მასწავლებლები. აქვე მინდა დავამატო, რომ „რთული ასაკისთვის“ დამახასიათებელი თავისებურებები თავს იჩენს არა მხოლოდ იმ მოსწავლეებთან, რომლებსაც სწავლა უჭირთ. ამ ცვლილებებს განსაკუთრებით განიცდიან ბავშვების მშობლები, სოციუმი და, რაღა თქმა უნდა, პედაგოგები. მინდა გაგიზიაროთ ჩემი პირადი პრაქტიკიდან, წლების მანძილზე, მიღებული გამოცდილება:

„რთული ასაკი“ – „რთული ქცევა“

სიტყვათშეთანხმება „რთული მოზარდი“ ერთ-ერთი ყველაზე განუსაზღვრელი ტერმინია ბავშვის ასაკობრივი განვითარების ფსიქოლოგიაში. თავად მოზარდობის ასაკი თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს პიროვნების განვითარების კრიზისულ სტადიად, ანუ ნებისმიერი მოზარდი „რთულია“ და ეს „სირთულე“ გამოიხატება საკუთარ თავსა და სხვებთან მიმართებით.

მაინც რა ხდება ამ დროს?

„რთულ ასაკში“ მყოფ არასრულწლოვნებს მშობლები და მასწავლებლები ხშირად თავხედებად და უტიფრებად მიიჩნევენ. ამ პერიოდში ისინი მართლაც გამომწვევად იქცევიან, არად დაგიდევენ უფროსებს, იზრდება მათი ეგოცენტრულობა და, განვითარების განსაზღვრულ დონეს მიღწეულებს, მიაჩნიათ, რომ აღარ სჭირდებათ გადაჭარბებული მეურვეობა უფროსების მხრივ.

ასეთი ქცევის შინაგანი, ქვეცნობიერი მოტივი ის არის, რომ მოზარდები, ამ პერიოდში, გაცილებით მგრძნობიარეები ხდებიან, ვიდრე მანამდე იყვნენ. ისინი ხომ ამ დროს ყველაზე მნიშვნელოვან დანაკარგს განიცდიან – ბავშვობას კარგავენ. ბავშვობა კი, როგორც ცნობილია, უსაფრთხოება, კომფორტი და უფროსების უპირობო სიყვარულია.

შემდეგი და ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემა არის დეპრესია. რა იწვევს მოზარდთა დეპრესიას და როგორ დავეხმაროთ მათ?

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დასკვნით, „დეპრესიას განაპირობებს სოციალური, ფსიქოლოგიური და გენეტიკური ფაქტორების ერთობლიობა“.

გენეტიკა და სხვა ფაქტორები. ეს დაავადება მემკვიდრეობით გადადის, რადგან ტვინში მიმდინარე ქიმიური პროცესები ხშირად გენეტიკურ კოდში ჩადებული ინფორმაციითაა განპირობებული. გარდა ამისა, დეპრესიის მიზეზი შეიძლება გახდეს გულ-სისხლძარღვთა დაავადებები და ჰორმონალური ცვლილებები; აგრეთვე, ხანგრძლივი დროის მანძილზე ნარკოტიკებსა თუ ალკოჰოლზე დამოკიდებულება, რის გამოც ადამიანს შეიძლება გაუმწვავდეს დეპრესიული ფონი ან უფრო ღრმა დეპრესიაშიც კი ჩავარდეს.

რის გაკეთება შეუძლიათ მშობლებს?

- გაითვალისწინეთ, რომ დეპრესიაში მყოფი მოზარდები შეიძლება ვერც კი ხვდებიან, რა ხდება მათ თავს და წარმოდგენა არ აქვთ, რა სიმპტომები ახლავს დეპრესიას. აგრეთვე მათ შეიძლება გაუჭირდეთ თავიანთ გრძნობებზე საუბარი.
- ზრდასრული ადამიანებისგან განსხვავებით, დეპრესიაში მყოფი მოზარდები სრულიად სხვაგვარად იქცევიან. ეს შეიძლება აისახოს მათ ქცევაზე, კვებაზე, ხასიათზე, ძილსა და სხვებთან ურთიერთობაზე. ამიტომ ნუ წაუყრუებთ, თუ თქვენს შვილში მსგავს ცვლილებებს შენიშნავთ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ზემოხსენებული სიმპტომები კვირების მანძილზე აღენიშნება.
- დაარწმუნეთ შვილი თქვენს სიყვარულში, რადგან დეპრესიის გამო მას შეიძლება მარტოობის და უღირსობის გრძნობა დაეუფლოს.

წარმოგიდგენთ მოზარდების 5 ყველაზე მტკივნეულ პრობლემას:

1. ამგოხი

გარდატეხის ასაკში მყოფი გოგო-ბიჭები საკუთარ თავში ახალ შესაძლებლობებს პოულობენ და საკმაოდ რაციონალურად აზროვნებაც შეუძლიათ. მათ ყველაფერზე საკუთარი შეხედულება აქვთ და დასაბუთებულადაც მსჯელობენ. ისინი ყველაფერს გააპროტესტებენ, რასაც თავს მოახვევთ. არ აღიარებენ საზოგადოებაში მიღებულ წესებს. ყველაფრით უკმაყოფილოები არიან – აკრიტიკებენ მშობლებს და მასწავლებლებს, თან მზად არიან, ბოლომდე გაიტანონ თავისი.

2. არასტაბილურობა და არაორგანიზებულობა

ერთ დროს დამჯერი, აკურატული და მოწესრიგებული ბიჭი ოთახში ნივთებს აღმა-დაღმა ისვრის, აგვიანებს და კატეგორიულ უარს აცხადებს კბილების გახეხვაზე ძილის წინ. ხასიათი ელვისებური სისწრაფით ეცვლება – ან უზომოდ ბედნიერია, ან ყველაზე უბედური. ასეთი ქცევა გარდატეხის პერიოდისთვის დამახასიათებელია. მოზარდი მის ცხოვრებაში მომხდარ ყველა ცვლილებას ზედმეტად განიცდის: სიყვარულს, შეცდომებს, წარმატებას და იმედგაცრუებას.

3. დამუხრუჭებული ემოციები

მოზარდს მოზრდილის ფიზიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობები აქვს და მზადაა, ცხოვრებაზე თავისი წარმოდგენა რეალობად აქციოს. არადა, ყველაფერში ზღუდავენ, ვალდებულებებს ახსენებენ და წესების დაცვას აიძულებენ. შედეგად იმედგაცრუებას ვიღებთ, რამაც შეიძლება მისი ქცევის ერთგვარი შეზღუდვა და ბლოკირება მოახდინოს.

4. მფრთხალი და მორიდებული

ეს საკმაოდ გავრცელებული პრობლემაა მოზარდებში, რადგან ხშირად არიან უკმაყოფილოები საკუთარი გარეგნობით, სიმაღლით, წონით, ცხვირის ფორმითა თუ მკერდის გარშემოწერილობით. ერთი სიტყვით, ყველაფრით, რაც მათი აზრით იდეალურისგან შორსაა. მოზარდისთვის სიმფრთხალე მტანჯველი პრობლემაა, ამას მორცხვობაც ერთვის, რაც დაბალი თვითშეფასებით არის გამოწვეული. ეს ყველაფერი მოზარდს გარშემო მყოფებთან სრულფასოვან ურთიერთობაში უშლის ხელს.

5. სახლიდან გაქცევა

სახლიდან გაქცევის მიზეზი, ძირითადად, მშობლებთან დაძაბული ურთიერთობაა. მოზარდისთვის აუცილებელია, რომ ყველაფრის მიუხედავად, აგრძნობინონ, როგორ უყვართ და აფასებენ. გაქცევის მეორე მიზეზი დამოუკიდებლობის დამტკიცების სურვილია. როცა დაბრუნდება, აუცილებლად უნდა მოგვარდეს უთანხმოების ყველა მიზეზი და მაინც, უმთავრესი როლი მშობლებს ეკისრება.

დღეს კი, საოცარი დაძაბულობის ეპოქაში, უფრო მეტად ნუ დავძაბავთ მოზარდს...

რის გაკეთება შეგვიძლია მშობლებს?

„გვიყვარდეს და მივიღოთ ჩვენი შვილები, უპირობოდ, ისეთები როგორებიც არიან“.

ნინო წილოსანი
სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯის საჯარო სკოლის მათემატიკის წამყვანი მასწავლებელი

AN ADOLESCENT'S PSYCHOLOGY

Upbringing – this is a deliberate process of formation to prepare a child's participation in social and cultural life, therefore, in this processit is necessary to take the social-cultural and normative models into account.

The age of adolescence is perhaps the most difficult period in a person's life.During the adolescence the body changes, its sizes, forms, the structure of the skin change.This fact often leads to alienation with himself/herself, as if the teenager moved into another body.

All people go through crisis periodswhile growing and developing at different ages.For example, the crisis begins at the age of three, then at the age of six or seven.One of the most important crises is in teen ages, where teenagers have various problems of different directions and content.The most essential of these is the acceptance of himself/herself (children find it difficult to accept themselves the way they are) and the theme of self-esteem, communication with family members and friends and the problem of self-establishment. During such periods there are often attemptsof breaking theparents out of their life,striving to gain independence, being introvert, etc.

There are many different problems in the hardest way of a child's development.We need to know about all the possible threats and be ready to fight with problems such as:

- Behavioral peculiarities of a „difficul“ teenager.
- What causes a teenager's depression and how to solve them?
- Possible causing reasons of depression in adolescents.
- 5 most painful problems of adolescents.

And finally, the parents still have the key role. What can parents do? „Love children unconditionally, just the way they are“

MIMOZA CHOGOVADZE
A Leading Mathematics Teacher
LLEP Tskaltubo Municipality, Village Kvitiri Public School

ᲡᲐᲛᲝᲓᲔᲚᲝ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ

TORPAĞIN TURŞULUĞUNU NECƏ AZALTMAQ OLAR

ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲒᲗ ᲒᲐᲠᲓᲐᲒᲜᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲫᲔᲡᲐᲚᲝᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲫᲘᲛᲘᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ, ᲛᲐᲘᲐ ᲘᲡᲙᲐᲜᲓᲔᲠᲝᲕᲐᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲝᲓᲔᲚᲝ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐᲡ, ᲗᲔᲛᲐ: ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲕᲐᲛᲪᲘᲠᲝᲗ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲘᲡ ᲛᲭᲐᲕᲘᲐᲜᲝᲑᲐ.

MODEL DƏRSIN PLANI

Müəllimin adı,familiyası: Maya İsgəndərova
Fənn: Kimya
Tədris pilləsi/sinif: Orta/X
Şagirdlərin sayı: 22 (XTEŞ şagird yoxdur)
Dərsin tipi: İnnovasiyalı
Dərsin mövzusu: Torpağın turşuluğunu necə azaltmaq olar
Dərsin məqsədi: Şagirdlər turşular,qələvilər və neytrallaşma reaksiyaları haqqında öncəki biliklərindən istifadə edərək torpağın turşuluğunu azaltmağın yollarını müəyyən edə biləcəklər, tədqiqatlar əsasında fərqli məhlulların turşuluğunu müəyyənləşdirəcəklər, tədqiqat aparıb hesabat yazmağı bacaracaqlar.
Dədsin mövzu və məqsədinin MTP-nın tələbləri ilə uyğunluğu: dərsin planı IX sinif standartlarının tələbinə uyğundur. Şagirdlərdə tədqiqat,müstəqil işləmə, təhlil,transfer və metakoqnitik bacarıqlar inkişaf edəcək.
Fənn standartı:
Kim.IX.7. Şagird ətraf mühitə müşahidə edə bilər və əldə etdiyi göstəriciləri kimyəvi nöqteyi-nəzərdən qiymətləndirə bilər.
Nəticə göz önündədir, əgər şagird:

❖ Turşular, əsaslar və neytrallaşma barədə əldə etdiyi bilikdən istifadə edir və torpaqların turşuluğunun azaldılması/əkinə yararlı hala salınması planlarını əks etdirirsə;

❖ Öncəki biliklərə əsaslanaraq məhlulların turşuluğunu fərqləndirir,turşuluq ölçüldükdən sonra fərziyyələrini təsdiqləyirsə;

Təd.IX.2. Şagird tədqiqat üsulunu həyata keçirə/göstəriciləri qeyd edə bilər.
Nəticə göz önündədir, əgər şagird:

❖ Müvafiq materialdan və ya/ləvazimatdan istifadə edir və planlaşdırılmış sınağı təhlükəsizlik qaydalarına əməl etməklə keçirirsə;

❖ Müşahidə və ya/ölçmələr həyata keçirir, göstəriciləri qeydə alırsa;

❖ Göstəricilərin müvafiq dəqiqliklə qeydə-alınması üçün müşahidə edir, ölçür, informasiya-kommunikasiya vasitələrindən istifadə edirsə (məs., dəyişkənliyin xronoloji ardıcıllıqla qeyd edilməsinin əhəmiyyəti).

Dərsin gedişi

№	Fəallığın məqsədi və təsviri	İstifadəedilən təlim üsulu/üsulları	Sinfin təşkili	Dərs resursları	Vaxt (dəq.)
1	**Fəallıq 1.** Salamlaşmaq.Müsbət münasibət yaratmaq. Sinfin təşkili. **Fəallığın məqsədi:** Şagirdləri dərsin mövzusu,məqsədi və qiymətləndirmə rubrukası ilə tanış etmək. **Fəallığın təsviri:** Müəllim jurnalda şagirdlərin iştirakını yoxlayır və qeyd edir. Dərsin mövzusu, məqsədini açıqlayır və şagirdləri qiymətləndirmə rubrukaları ilə tanış edir. Dərsin mövzusu,məqsədi və qiymətləndirmə rubrikaları əyani olaraq divara yerləşdirilmişdir. Model dərs innovasiya yanaşmalarından istifadə edilərək keçiriləcək.	Vizual vasitələrdən istifadə edərək şıfahi ünsiyyət	Bütün sinif	Sinif jurnalı,dərsin mövzusu, məqsədi və qiymətləndirmə rubrukası yazılmış vərəqlər.	2 dəq.
2	**Fəallıq 2.** Öncəki biliklərin aktivləşdirilməsi və yeni materialla əlaqələndirilməsi. **Fəallığın məqsədi:** Şagirdlər mövcud biliyə əsaslanaraq yeni dərsi mənimsəmək ücün öncəki bilikləri yada salırlar. **Fəallığın təsviri:** Şagirdlərdə motivasiyanı yüksəltmək məqsədi ilə müəllim sinfə əyani vəsaitlər gətirmişdir.pH və indikator haqqında plakatlar,pH metr, süd,çay,sodalı su, qəhvə, portagal şirəsi, qələvi, su, koka-kola,maye sabun, turşu,əhəngli su.Xatırladaq ki, məhlullar bir-biri ilə pH adlanan göstərici ilə fərqlənirlər. Keçmiş bilikləri aktivləşdirmək məqsədi ilə müəllim şagirdlərə aşagıdakı sualları verir: ❖ İndikator nədir? ❖ Hansı indikatorları tanıyırsınız? ❖ pH nəyi göstərir? ❖ pH necə ölçülür? ❖ pH hansı intervalda ölçülür? Şagirdlər sualları cavablandırırlar Paralel olaraq sinfə pH amilləri əks olunan slaydlar göstərilir.	Əqli hücum, sual-cavab	Bütün sinif	pH və indikator haqqında plakatlar, pH metr, süd, çay, sodalı su, qəhvə, portagal şirəsi, qələvi, su, koka-kola, maye sabun, turşu, əhəngli su. proyektor, komputer, slaydlar	5 dəq.
3	**Fəallıq 3.** Yeni materialla tanışlıq. **Fəallığın məqsədi:** Şagirdlərdə tədqiqat və təhlil bacarıqlarının inkişafı. **Fəallığın məqsədi:** Slaydları göstərdikdən sonra yeni materialla əlaqəli sinif qruplara bölünür. Şagirdlərə müvafiq yazısı olan sınaq şüşələrində müxtəlif məhlullar verilir. Onlara məhlulları turşuluğunun azalması istiqaməti ilə düzmək tapşırılır. I-qrup PH metrdən istifadə edir. II-qrup universal indikatordan istifadə edir. III-qrup məntiqə əsaslanaraq. Hər bir məhlulun turşuluğu ölçülür/qruplaşdırılır, müvafiq cədvəl doldurulur və müvafiq diaqram çəkilir. Tədqiqat nəticələrinin təqdimatı.	Əməkdaşlıqla təlim Təqdiqmat	Qrup işi Qrup liderəri	pH metr, universal indikator, süd, çay, sodalı su, qəhvə, portagal şirəsi, qələvi, su, koka-kola, maye sabun, turşu, əhəngli su, sınaq şüşələri, A4 vərəqləri, marker.	10 dəq.
4	**Fəallıq 4.** Yeni materialın dərinliyinə varma. **Fəallığın məqsədi:** Yeni materialın möhkəmləndirilməsi. **Fəallığın təsviri:** Müəllim torpağın turşuluğu haqqında danışır. Müəllim yeni materialı mini mühazirə şəklində təqdim edir. Şagirdlərə torpağın turşuluğunun nə demək olduğunu izah edir. Sonra sinfə torpağın turşuluğu haqqında video təqdim edir.	Mini mühazirə	Bütün sinif	Proyektor, komputer. video https://youtu.be/aVy3fk9Zt80	8 dəq.
5	**Fəallıq 5. Müstəqil iş.** Təcrübə-həyətyanı sahənizin torpağının turşuluğunu müəyyənləşdirin. **Fəallığın məqsədi:** Biliyin möhkəmləndirilməsi. Tədqiqat bacarığının inkişaf etdirlməsi. **Fəallığın təsviri:** Müəllim şagirdləri qruplara bölür.Hər bir qrupa tapşırıq verir:Torpaq nümünəsini sınaq şüşəsində su ilə qarışdırın və pH metr ilə turşuluğunu ölçün.Əldə edilmiş nəticələri dəyərləndirin.	Tədqiqata əsaslanan tədris	Qrup işi	pH metr, torpaq nümunələri, sınaq şüşələri.	10 dəq.
6	**Fəallıq 6.** Videonun təhlili. **Fəallığın məqsədi:** Şagirdlərin təhlil, transfer və müstəqil işləmə bacarıqlarının inkişaf etdirilməsi. **Fəallığın təsviri:** Torpağın turşuluğunu necə azaldaq? Bu haqda videonu izləyək.Müəllim internetdən https://youtu.be/e2ENYlSs9Ok ünvanında videonu təqdim edir.Şagirdlər videonu izlədikdən sonra torpağın turşuluğunun azaldilması haqqında arqumentli müzakirələr aparırlar.	Əməkdaşlıqla təlim	Bütün sinif	Proyektor, komputer. video https://youtu.be/e2ENYlSs9Ok	5 dəq.
7	**Fəallıq 7.** Yekunlaşdırma və qiymətləndirmə. **Fəallığın məqsədi:** Yeni dərsin möhkəmləndirilməsi və şagirdlərdə motivsıyanın yüksəldilməsi. **Fəallığın təsviri:** Müəllim sual-cavabla dərsi yekunlaşdırır.Müəllim dərs zamanı şagirdlərə inkişafetdirici şərhlər verir və şagirdləri qiymətləndirmə rubrikasından istifadə etməklə qiymətləndirir.	Sual-cavab	Bütün sinif	Qiymətləndirmə rubrikaları	2 dəq.
8	**Fəallıq 8.** Ev tapşırığının verilməsi. **Fəallığın məqsədi:** Dərsdə əldə edilmiş biliyin möhkəmləndirilməsi və müstəqil istifadə edilməsi; **Fəallığın təsviri:** Müəllim şagirdlərə çıxış biletləri paylayır və yeni dərsi necə mənimsədikləri təhlil etmək üçün fərdi doldurmalarını xahiş edir. Növbəti dərs üçün torpağın turşuluğunu necə azaltmaq olar haqqında əlavə məlumat əldə etmələrini xahiş edir.	Biliyi inkişaf etdirmək. Məlumat tapmaq.	Bütün sinif, fərdi	Çıxış biletləri. Dərslik-Kimya (M.Vardiaşvili, S.Adamiya). İnternet və əlavə ədəbiyyat	3 dəq.

Dərsin sonunda əldə edilən nəticə:
Şagirdlər bacarırlar: turşular,qələvilər və neytrallaşma reaksiyaları haqqında öncəki biliklərindən istifadə edərək torpağın turşuluğunu azaltmağın yollarını müəyyən etməyi, tədqiqatlar əsasında fərqli məhlulların turşuluğunu müəyyənləşdirməyi, tədqiqat aparıb hesabat yazmağı.

სამოდელო გაკვეთილი

Fəallıqlar üçün qiymətləndirmə rubrikası

№	Meyar	1-4	5-6	7-8	9-10
1	**Cəlb olma**	Nadir hallarda və ya ümumiyyətlə iştirak etmir	Çox vaxt iştirak edir	Həmişə iştirak edir	Həmişə iştirak edir və hətta tez-tez sinif müzakirəsinə qoşulur
2	**Əməkdaşlıq**	Fəallıqlar zamanı əməkdaşlıq etmir və ya nadir hallarda öz qrup üzvləri ilə əməkdaşlıq edir	Fəallıqlar zamanı qrup üzvləri ilə nadir hallarda əməkdaşlıq edir	Qrup işi və ya fərdi iş zamanı həmyaşıdları ilə tez-tez əməkdaşlıq edir	Qrup üzvləri ilə həmişə fəal əməkdaşlıq edir
3	**Təhlil və nəticə çıxartmaq bacarığı**	Təqdim olunan materialı təhlili edə bilmir,düzgün nəticə çıxara bilmir,ümumiləşdirə bilmir.	Təqdim olunan materialı nadir hallarda təhlil edə bilir, nadir hallarda düzgün nəticə çıxara bilir,amma ümumiləşdirməyə çalışır.	Təqdim olunan materialı çox hallarda təhlil edə bilir. Qismən nəticə çıxara bilir və düzgün ümumiləşdirməyi bacarır.	Təqdim olunan materialı tam təhlil edə bilir.Müvafiq nəticələr çıxarır və mükəmməl ümumiləşdirir.
4	**Başqalarının rəyinə hörmət etmək**	Dinləmir və söhbətin bitməsini gözləmir.	Başqalarını dinləyir və söhbətin bitməsini gözləyir.	Başqalarını dinləyir və dinləyiciyə öz fikrini bildirir.	Başqalarını dinləyir. Başqalarının rəyinə hörmət edir.

MAYA İSGƏNDƏROVA
Qardabani,Kosalı ictimai məktəbi, Kimya müəlliməsi

სამოდელო ინტეგრირებული გაკვეთილი ისტორიაში

გაგიზიარებთ ჩემს გამოცდილებას და შემოგთავაზებთ სამოდელო ინტეგრირებულ გაკვეთილს ისტორიაში, მე-9 კლასში. ინტეგრირებული გაკვეთილი არ წარმოადგენს სიახლეს. იგი არის ერთი და იმავე, მონათესავე ან გამჭოლი თემატიკის ირგვლივ გაერთიანებული ორი ან რამდენიმე სასწავლო საგნის მიხედვით დაგეგმილი და ჩატარებული გაკვეთილი. ინტეგრაცია ხელს უწყობს ცოდნის გამთლიანებას და ასევე შეძენილი ცოდნისა და უნარების ერთი სფეროდან მეორეში გადატანას (ტრანსფერს). ტრანსფერისთვის საჭიროა სწავლების სპეციალური დაგეგმვა. გაკვეთილის თემიდან გამომდინარე, ჯერ უნდა შეირჩეს ინტეგრირებული გაკვეთილის იდეა, უნდა იკვეთებოდეს მისი მჭიდრო კავშირი სხვა დისციპლინებთან, რომელთანაც გადავწყვეტთ თემის დაკავშირებას.

გეგმის დახვეწის, სრულყოფის მიზნით მასწავლებელს მჭიდრო თანამშრომლობითი კავშირი უნდა ჰქონდეს იმ საგნის მასწავლებელთან, რომელთან ინტეგრირებაც აქვს დაგეგმილი, რათა მოისმინოს და გაითვალისწინოს რეკომენდაციები.

გაკვეთილის გეგმა

მასწავლებლის სახელი, გვარი: ნატო ზეინკლიშვილი
საგანი: სამოდელო-ინტეგრირებული გაკვეთილი/საქართველოს ისტორია-მუსიკა
სწავლების საფეხური/კლასი: საბაზო/IX კლასი.
მოსწავლეთა რაოდენობა: 18 (სსსმ მოსწავლე არ არის)
გაკვეთილის თემა:
1. საქართველო დავით აღმაშენებლის მემკვიდრეების დროს (ისტორია);
2. შენ ხარ ვენახი (მუსიკა).
გაკვეთილის მიზანი:
- მოსწავლე შეძლებს იმსჯელოს არგუმენტირებულად და გააანალიზოს იმდროინდელი სახელმწიფოს საგარეო და საშინაო მდგომარეობა.
- მოსწავლე იმსჯელებს კონკრეტულ საგარეო პოლიტიკურ ცვლილებებზე. აანალიზებს და ადარებს რამდენად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საგარეო ფაქტორი ქვეყნის შიდა კონფლიქტზე.
- მოსწავლე შეძლებს ქართული სასულიერო მუსიკის დახასიათებას და გაანალიზებას ფორმის, ჟანრის, სტილის, მუსიკალურ-გამომსახველობითი საშუალებებით, შეძლებს ისაუბროს ნაწარმოების მოსმენით გამოწვეულ შთაბეჭდილებებზე.

ისტ.IX.5. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს საგარეო და საშინაო ფაქტორების გავლენა ქართული სახელმწიფოს წარმოშობასა და განვითარებაზე.
- მსჯელობს კონკრეტულ საგარეო პოლიტიკურ ცვლილებებზე, რომლებმაც გავლენა მოახდინა ქართულ სახელმწიფოებრიობაზე;
- აანალიზებს და ადარებს საგარეო ფაქტორების გავლენას ქვეყნის შიდა კონფლიქტზე.

მუს.IX.5. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების გაანალიზება.
- საუბრობს მუსიკალური ნაწარმოების მოსმენით გამოწვეულ შთაბეჭდილებაზე.
- ახასიათებს მუსიკალურ ნაწარმოებს ფორმის, ჟანრის, სტილის და მუსიკალურ-გამომსახველობითი საშუალებების მიხედვით.

№	აქტივობის აღწერა	გამოყენებული მეთოდი	კლასის ორგანიზების ფორმა	სასწავლო რესურსი	დრო 45წთ
1	**A ფაზა.** კლასის ორგანიზება. თემისა და მიზნის წარდგენა	ვერბალური ახსნა	მთელი კლასი		2წთ
2	მოსწავლეები, მასწავლებელთან ერთად, ცოდნის გასააქტიურებლად, წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, მსჯელობენ ქვეყნის საგარეო და საშინაო მდგომარეობაზე დავითის და მისი მემკვიდრეების დროს (დიდგორი, რუის-ურბნისის კრება, „გალობანი სინანულისანი“, დემეტრე I)	გონებრივი იერიში გამოსაძახებელი ჩხირებით, აქტიური ლექცია სლაიდების, რუკის გამოყენებით	მთელი კლასი	დაფა, ცარცი, პროექტორი, კომპიუტერი, რუკა	6წთ
3	**B ფაზა.** მოსწავლეები, მასწავლებელთან ერთად, წინასწარ მომზადებულ მასალაზე დაყრდნობით, ისაუბრებენ: 1. დემეტრე I-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობაზე. 2. გიორგი III-ის დროინდელ საქართველოზე, გაანალიზებენ, როგორ აფასებდა სამეფო კარი ქალის მეფედ კურთხევის ფაქტს. 3. ქვეყნის შიდა ხელისშემშლელ ფაქტორზე, კერძოდ, ორბელთა აჯანყებაზე. იმსჯელებენ, გაანალიზებენ და შეადარებენ საგარეო ფაქტორების გავლენას ქვეყნის შიგნით არსებულ შიდა კონფლიქტზე (დემეტრემ შეძლო დაპყრობილი ტერიტორიების შემოერთება, დავით V-მ რამდენჯერმე მოაწყო შეთქმულება დემეტრეს წინააღმდეგ. განძის კარი დემეტრემ გელათის მონასტერს შესწირა. გიორგი III-მ თანამოსაყდრედ თამარი აკურთხა. მეფემ ორბელთა ამბოხება ჩაახშო).	I-II-II ჯგუფების პრეზენტაციები სლაიდების, წყაროების, ფორმატის გამოყენებით	ჯგუფური	კომპიუტერი, პროექტორი, ფორმატი, სახელმძღვანელო	17წთ
4	მოსწავლეები, მასწავლებელთან ერთად, მსჯელობენ და აანალიზებენ დემეტრე I-ის პოეტურ შემოქმედებას. საგალობლის მოსმენით საუბრობენ ნაწარმოების სიდიადეზე, ქართულ იამბიკოსა და საგალობლის მრავალხმიანობაზე, ფორმაზე, ჟანრზე, სტილზე.	ქართული საგალობელი „შენ ხარ ვენახის“ მოსმენა.	მთელი კლასი	კომპიუტერი, პროექტორი	6წთ
4		კითხვა-პასუხი			
5	**C ფაზა.** მოსწავლეები, წინარე და ახალ მასალაზე დაყრდნობით, იმუშავებენ კროსვორდის შევსებაზე (განძის კარი გელათშია, დავით აღმაშენებელმა დაწერა „გალობანი სინანულისანი“, „შენ ხარ ვენახის“ ავტორია დემეტრე I).	დედუქციის მეთოდი	ჯგუფური	კალამი, ფურცელი, დაფა, ცარცი	6წთ
6	მასწავლებელი აძლევს საშინაო დავალებას (1. შინააშლილობა დავით აღმაშენებლის მემკვიდრეების დროს; 2. სამართლიანად მიგაჩნიათ თუ არა დემეტრე I-ის გამეფება).	ვერბალური მეთოდი	მთელი კლასი	დაფა, ცარცი, კალამი, რვეული	2წთ
7	**შეფასება.** განმავითარებელი: ვაძლევ რეკომენდაციებს, მითითებებს საკითხით უფრო დაინტერესების მიზნით. განმსაზღვრელი: მოსწავლეს ვაფასებ ჩართულობით, არგუმენტირებული მსჯელობით, ჯგუფური მუშაობით.	ვერბალური მეთოდი	მთელი კლასი		3წთ
8	მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს გასასვლელ ბილეთებს, სადაც წერილობით აფიქსირებენ თავიანთ აზრს თემასთან დაკავშირებით (გავაანალიზე იმდროინდელი საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა).	სინთეზის მეთოდი	მთელი კლასი	კალამი, გასასვლელი ბილეთები	3წთ.

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები: მოსწავლეები შეძლებენ თანამშრომლობას, არგუმენტირებულ მსჯელობას, ანალიზს, ახალი მასალის მოძიება-დამუშავებას, შედარებითი ანალიზის მოძებნას.

რეფლექსია

მოსწავლეებისთვის თემა უფრო საინტერესო, სახალისო რომ გამეხადა, გადავწყვიტე ჩამეტარებინა ინტეგრირებული გაკვეთილი მუსიკასთან შესაბამისობაში. ინტეგრირება ხომ ხელს უწყობს ცოდნის გამთლიანებას, შეძენილი ცოდნისა და უნარების ერთი სფეროდან მეორეში გადატანას, რაც მოსწავლეებს როგორც სასწავლო პროცესში, ისე ცხოვრებაში ყოველთვის გამოადგებათ. გაკვეთილი დაფუძნებული იყო თანამშრომლობაზე, არგუმენტირებულ მსჯელობაზე, წინარე ცოდნის გააქტიურებაზე, ახალი მასალის მოძიება-დამუშავებაზე, ქართული საგალობლით გამოწვეულ შთაბეჭდილებებზე, მის გაანალიზებაზე. სტრატეგიების, კლასის ორგანიზების ფორმების შესაბამისობამ ხელი შემიწყო ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაში.

გაკვეთილი დავიწყე გაკვეთილის მიზნისა და შეფასების კრიტერიუმების ზეპირი გაცნობით. ვფიქრობ,უფრო კარგი და თვალსაჩინო იქნებოდა სლაიდის სახით რომ წარმომედგინა.

გამოწვევის ფაზაზე, მოსწავლეებისთვის მოტივაციის ამაღლების მიზნით, სლაიდების გამოყენებით მოვახდინე წინა გაკვეთილის გამეორება. ეფექტურად გამოვიყენე გონებრივი იერიში გამოსაძახებელი ჩხირების საშუალებით, რამაც გაზარდა მოსწავლეთა ჩართულობა. წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოსწავლეებმა იმსჯელეს ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობაზე დავითის და მისი მემკვიდრეების დროს.

ამის შემდეგ ჯგუფებმა წინასწარ მომზადებული პრეზენტაციები გააკეთეს, სლაიდებითა და ფორმატის საშუალებით. პრეზენტაციები მეტად საინტერესო იყო დროსთან შესაბამისობაში. მოსწავლეებმა ხაზი გაუსვეს მეფეების დიდ პოეტურ შემოქმედებასაც. ვთვლი, რომ ამ კომპონენტში გაკვეთილი ყველაზე წარმატებული იყო, არჩეულ თემასთან ინტეგრირება – ლოგიკური და ბუნებრივი. მოსწავლეებმა შეძლეს ცოდნის გამთლიანება, ჩემთან ერთად ქართული საგალობლის დახასიათება, გაანალიზება, მუსიკის მოსმენით გამოწვეული განწყობის შექმნა.

მესამე ფაზაში მოსწავლეებმა, წინარე და ახალ მასალაზე დაყრდნობით, ხალისით იმუშავეს კროსვორდზე. ჯგუფები შევაფასე ქულებით, თანმიმდევრობის დაცვით. ვინც პირველმა დაამთავრა, იმ ჯგუფმა შეავსო დაფაზე კროსვორდი და შეფასდა ყველაზე მაღალი ქულით, მეორე ვინც შეავსო – 1 ქულით ნაკლებით, მესამე – კიდევ ერთი ქულით. კროსვორდზე მუშაობისთვის საჭირო იყო ცოდნაც და სისწრაფეც.

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებს ინდივიდუალურად შევავსებინე თვითშეფასების ფურცლები, რითაც კიდევ ერთხელ გააანალიზეს გაკვეთილზე თავიანთი ჩართულობა, რა გაიგეს, რაზე უნდა იმუშაონ მეტად შემდეგისთვის.

ბოლოს მივეცი საშუალება, ორი საშინაო დავალებიდან, აერჩიათ მათთვის სასურველი დავალება. არჩევის პრინციპი მისაღები და მოსაწონია, ამიტომ ხშირად ვიყენებ პრაქტიკაში. მინდა აღვნიშნო, რომ კოლეგებს გაკვეთილი მოეწონათ. აქტივობები თანმიმდევრული, საინტერესო და მრავალისმომცველი იყო. საგნებს შორის თანხვედრა სწორად იყო დაცული. რაც შეეხება საშინაო დავალებას, გადაწყვიტეს მისი გამოყენება პრაქტიკაში.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ გაკვეთილზე განხორციელებული აქტივობები მოსწავლეებს მიზნის უკეთ აღქმაში დაეხმარა, უფრო სახალისო გახდა სწავლება და შესაძლებელი – წინარე თუ ახალი მასალის ცოდნის გამყარება. ამასთანავე, შეიძინეს უნარი, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე გამოადგებათ. სწორად დაგეგმილმა, თანმიმდევრულმა აქტივობამ მოსწავლეთა დაინტერესება უფრო გაზარდა. ინტეგრირებამ გაამთლიანა და სრულყოფილი გახადა გაკვეთილი. ჩემსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობაც საინტერესოდ და საქმიანად წარიმართა და გაკვეთილისთვის განკუთვნილ დროში ჩავეტიე. თუმცა, მქონდა ხარვეზი – აქტივობებისთვის განკუთვნილი დრო შევცვალე და წინარე ცოდნის მასალის გააქტიურებისთვის განსაზღვრულზე მეტი დრო დავხარჯე.

მომავალში გავითვალისწინებ ხარვეზებს და მეტს ვიმუშავებ, კიდევ უფრო საინტერესო გაკვეთილები რომ ჩავატარო.

ნატო ზეინკლიშვილი
სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სავანის საჯარო სკოლის ისტორიის პედაგოგი

ინფორმაცია

გახსოვდეს ვისი გორისა ხარ

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, მიმდინარე წლის 1 ნოემბერს, უამრავ ცნობილ პიროვნებას მოეყარა თავი, საზღვრისპირა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციამ (თავმჯდომარე – **ვანო ნატროშვილი**, თანათავმჯდომარე – **ნანა ჭიჭინაძე**), საქველმოქმედო საზოგადოება „ამაგდარმა“ (თავმჯდომარე – **ვახუშტი ქიზიყურაშვილი**) და ქართული საგვარეულო კავშირების შექმნის გვართა ისტორიების წარმოჩინების საზოგადოებამ (პრეზიდენტი – **მარინე წერეთელი**) წარმოადგინეს ერთობლივი პროექტი „გახსოვდეს ვისი გორისა ხარ“.

პროექტის წამყვანი გახლდათ პოეტი და პუბლიცისტი, ქალბატონი **ნანი საბანაძე**. მან ვრცლად ისაუბრა საქართველოს კულტურული ცივილიზაციის მემკვიდრეობის შესახებ და საზოგადოებას წარუდგინა ღვაწლმოსილი და გამორჩეული პიროვნებები, რომელთაც დიდი ღვაწლი აქვთ შეტანილი საქართველოს კულტურის, განათლების, მეცნიერების, მედიცინის, ხელოვნებისა და სხვადასხვა დარგის განვითარების საქმეში.

ღირსეულ ქალბატონებს მიესალმნენ ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორები (მეღვინეობის დარგში): **ვაჟა მამაიაშვილი**, **თამაზ კობაიძე** და სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი **ბაკურ გულუა**, თსუ-ს ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი **ნინო პოპიაშვილი**, კომპოზიტორები – **ვაჟა აზარაშვილი**, **გოგი შავერზაშვილი** და სხვ.

ნანი საბანაძემ საინტერესოდ ისაუბრა მსოფლიო პრიმაბალერინას, თბილისის საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელის, **ნინო ანანიაშვილის** დამსახურებაზე. მან პერსონალურად წარუდგინა საზოგადოებას ქართული გვარების ღირსეული წარმომადგენლები:

❖ **ნათელა ვაჩნაძე** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ბიზანტიოლოგთა ეროვნული კავშირის დამფუძნებელი და ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ექსპერტი;

❖ **მარინე კანდელაკი** – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი, ვისაც მასთან კონტაქტი ჰქონია უდიდესი შთაბეჭდილება მოუხდენია, ასეთი დიდებული ქალბატონები დიდ ხიბლს მატებენ ჩვენს დედაქალაქს;

❖ **მარინე წერეთელი** – საგვარეულო კავშირების უცვლელი პრეზიდენტი, პირადად მას 360 გვარის ისტორია აქვს დამუშავებული;

❖ **ქეთევან თუხარელი** – თსუ-ს პედაგოგი, ამერიკულ-ბრიტანული, რუსული პოეზიის და პროზის ქართულ-რუსულ და ინგლისურ ენებზე მთარგმნელი;

❖ დარბაზი დიდი ოვაციით შეხვდა ცნობილ კომპოზიტორებს: **მაცაცო სებისკვერაძეს**, **ნუნუ დუღაშვილს**, **მაყვალა ხორბალაძეს**. მათი მუსიკის ჰანგებზე გაიზარდა ჩვენი თაობა...

❖ **ელეონორა ბაბუნაშვილი** – სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული, მაღალკვალიფიციური ექიმი-თერაპევტი, საოპერო და კლასიკური მუსიკის მოყვარული, მელომანი;

❖ **ქეთევან კიკნაძე** – ქართული კინოსა და თეატრის ცნობილი მსახიობი;

❖ **მარინა მაჭავარიანი-ანჯაფარიძე** – ზურაბ ანჯაფარიძის ფონდის პრეზიდენტი.

საზღვრისპირა დედოფლისწყაროს გამორჩეული ქალბატონების – **ნაირა გორაშვილის**, **თამარ მოძღვრიშვილის**, **ნუნუ ცაკაშვილის**, **მარიეტა გონაშვილის**, **ნანული ნატროშვილის**, **თამარ ბაღაშვილის**, **ლია ოზაშვილის**, **მარიეტა გონაშვილის** შესახებ ვრცლად ისაუბრა პროექტის ორგანიზატორმა **ნანა ჭიჭინაძემ**.

გობეჯიშვილი-პოპიაშვილის გვარი თავად დედოფლისწყაროელმა, კულტურის დარგის დიდმა ქომაგმა **ნელი გობეჯიშვილმა** წარმოგვიდგინა.

პროექტში, სპეციალური მოწვევით, მონაწილეობდნენ ნორჩი დეკლამატორები: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემოქედის საჯარო სკოლის XII კლასის წარჩინებული მოსწავლე **მარიამ ტოზიშვილი**, რომელმაც საკუთარი ლექსები წაიკითხა და პირველი საჯარო სკოლის IV კლასის მოსწავლე **დემეტრე ფიროსმანაშვილი**. დამსწრე საზოგადოებამ ხანგრძლივი აპლოდისმენტებით დააჯილდოვა ისინი.

შემდეგ გაიმართა საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ახალგაზრდა თაობის ქართველ პიანისტთა გამორჩეული წარმომადგენლები, მრავალი რესპუბლიკური თუ საერთაშორისო კონკურსის ლაურეატები: **გიორგი გიგაშვილი**, **დეა აბაკელია**, **ელენე შავერზაშვილი**, **თათა კვანტალიანი**, **მალვინა ისმაილოვა** და მევიოლინე **ელენე მეგრელიშვილი**. საფორტეპიანო და სავიოლინო ნომრები შეასრულეს, ასევე, უფროსი თაობის მუსიკოსებმა: **მანონი ყუბანეიშვილმა**, **ნანა გელაძემ**, **როდამ** და **დინარა ჯანდიერებმა**.

სპეციალური მოწვევით, კონცერტში მონაწილეობდნენ ოპერის წამყვანი სოლისტები: მსოფლიო ბანი **რამაზ ჩიკვილაძე** და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თბილისის ოპერის წამყვანი სოლისტი, სახალხო არტისტი **ლიანა კალმახელიძე**, რომელთაც შეასრულეს: ცანგალას კუპლეტები, ზაქარია ფალიაშვილის ოპერიდან „დაისი“და ლელას არია, რევაზ ლაღიძის ოპერიდან „ლელა“.

პროექტის დასასრულს კომპოზიტორთა კავშირის ტრიომ – **ქეთევან თავშავაძემ**, **ია ბახტაძემ**, **მარიამ ჯინჭველაშვილმა** შეასრულეს მაცაცო სებისკვერაძისა და ვაჟა აზარაშვილის ნაწარმოებები.

დამსწრე საზოგადოების სახელით, მაცაცო სებისკვერაძემ უღრმესი მადლობა გადაუხადა პროექტის ორგანიზატორებს.

ეს იყო ერთ-ერთი დაუვიწყარი დღე საოცარი მუსიკის ჰანგებზე.

მარიკა პოპიაშვილი

იაკობის 179-ე წლისთავის აღსანიშნავად

იაკობ გოგებაშვილი მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელია საქართველოში. მისი შესანიშნავი მემკვიდრეობა, აგერ უკვე მეორე საუკუნე მიილევა, ემსახურება მშობელ ხალხს. ასე იქნება მანამ, სანამ ქართული ენა იარსებებს. ქართული ენა და იაკობ გოგებაშვილი განუყოფლადაა დაკავშირებული ერთმანეთთან.

სწორედ ამიტომაა, რომ, ტრადიციულად, განსაკუთრებული მონდომებითა და პატივით აღვნიშნავთ იაკობის დღეებს სსიპ ოტია იოსელიანის სახელობის ქალაქ წყალტუბოს №1 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების კათედრა. ამჯერადაც ასე იყო. იაკობის დაბადების 179-ე წლისთავს მიეძღვნა კვირეული, რომელიც დატვირთული იყო მრავალფეროვანი აქტივობებით. მოსწავლეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ხატვასა და კალიგრაფიაში, მხატვრულ კითხვასა და პროექტების პრეზენტაციაში.

I-II კლასების მოსწავლეებმა ძია იაკობს მიუძღვნეს თავიანთი ნახატები, ნაძერწები, აპლიკაციები, სადაც გამოსახავდნენ იას, დედას, „დედაენას“... თავი ისახელეს I^{ბ} კლასის (ხელმძღვანელი – **ნანა თუთისანი**) მოსწავლეებმა საზეიმო ღია გაკვეთილზე, რომელიც ანბანის შემობრძანებას მიეძღვნა.

„დედაენას“, იაკობს, სამშობლოს მიუძღვნეს ლექსები, რომლებიც ოსტატურად წაგვიკითხეს III-IV კლასების პატარა დეკლამატორებმა: **ანა ტორაძემ**, **ნუნუ ჩხეიძემ**, **გაბრიელ მურვანიძემ**, **ბარბარე ლომიძემ**, **ნია ხაბულიანმა**, **მია მაღლაფერიძემ**... ისინი დირექციამ საპატიო სიგელებით წაახალისა.

თავიანთ მონდომებას, ინტერესს, პატივისცემასა და სიყვარულს გამოხატავდნენ ბავშვები კლასის საათებზე, რომლებიც ჩვენი სკოლის გამოცდილმა პედაგოგებმა გამართეს თავიანთ სადამრიგებლო კლასებში. კლასის საათებს რეფრენად გასდევდა ფრთიანი ფრაზები: „აი ია – საოცრების დასაწყისი“, „დედაენა – სიბრძნის წიგნი“, „იაკობ გოგებაშვილი ჩვენი მზე, ჩვენი მთვარეა“, „იაკობმა მისცა ფრთები ქართველს ცაში ასაფრენად“, „იაკობი – ერის მამა“, „შენს ფრთებქვეშ, ძია იაკობ“, „დღეს შენი დღეა, ძია იაკობ“...

III^{ბ} კლასის მოსწავლეებმა წარმოადგინეს პროექტის „ჩვენ ვსწავლობთ იაკობს“ პრეზენტაცია, გამოუშვეს ხელნაწერი გაზეთი „დიდი იაკობი“. პროექტის ფარგლებში, შეისწავლეს მთავარი მასწავლებლის – იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფია – ბავშვობისა და მოსწავლეობის პერიოდები, მისი მოღვაწეობის სხვადასხვა მხარე; გაეცნენ „დედაენას“, „ბუნების კარს“, სხვადასხვა ისტორიულ მოთხრობას მისი შემოქმედებიდან.

IV^{ბ} კლასმა (ხელმძღვანელი – **აზა ნაფეტვარიძე**) იმოგზაურა სოფელ ვარიანში, სადაც მონაწილეობა მიიღეს „იაკობობის“ სახალხო დღესასწაულში, მოინახულეს იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი, ჩამოიტანეს სახლ-მუზეუმის მინიატურული მაკეტი და, იებით სავსე კალათასთან ერთად, მოათავსეს გოგებაშვილის სახელობის კლას-კაბინეტში, მისივე ბიუსტთან. ბავშვები შთაბეჭდილებებით აღსავსენი დაბრუნდნენ და ემოციები თანატოლებს გაუზიარეს.

იაკობმა კარგად იცოდა, რომ ბავშვს პატრიოტად ვერ აღზრდი, თუ მას არ გააცანი და შეაყვარე მშობლიური ბუნება, მისი მცენარეთა და ცხოველთა სამყარო. იცოდა, რომ გულკეთილი და მზრუნველი იქნება მხოლოდ ის ადამიანი, ვინც ზრუნავს გარემოზე, როგორც სულიერზე, რომელიც მის გვერდით ცხოვრობს. ამის დასტურია სახელმძღვანელო „ბუნების კარი“, რომელიც უამრავ ინფორმაციას შეიცავს შინაურ თუ გარეულ ცხოველებზე, მათი ცხოვრების ნირსა და თვისებებზე. სწორედ ამიტომ, სკოლის დირექტორის ინიციატივით, ერთი დღე უჩვეულო გამოფენას დაეთმო – სკოლის ეზო აავსო ბავშვების ოთხფეხა მეგობრების ხმებმა. მოსწავლეები და მათი მშობლები სკოლაში გამოცხადდნენ ძაღლების, კატების, ბაჭიების, კუების, ზაზუნების, თუთიყუშების თანხლებით. ისინი დიდი სიყვარულით გვიამბობდნენ ამ ცხოველების შესახებ – რა უყვართ, როგორი ქცევა აქვთ, როგორ მეგობრობენ და ზრუნავენ მათზე. ეს იყო ნამდვილი ზეიმი, სადაც ყველა ბედნიერი გახლდათ. ბავშვებს საინტერესო ინფორმაცია მიაწოდეს გამოფენაზე წარმოდგენილი ცხოველების შესახებ სტუმრებმა: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის აიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მმართველმა, ქალბატონმა **მარინე ტყეშელაშვილმა**, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ვეტერინარმა, ბატონმა **ალექსანდრე ჩომახიძემ**.

აღსანიშნავია, რომ მაღალი იყო მშობელთა ჩართულობა ყველა აქტივობაში. აქ კარგად გამოჩნდა კლასის ხელმძღვანელთა მიერ მშობელთა პედაგოგიზაციისათვის გაწეული ძალისხმევა. მთელი კვირეულის განმავლობაში, მშობლები დაუღალავად ედგნენ გვერდით თავიან შვილებს, მასწავლებლებსა და სკოლას, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება მოსწავლეთა აღზრდაზე, მათი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე.

დაწყებითი კლასების კათედრა, მთელი კვირის განმავლობაში (21-28 ოქტომბერი), გრძნობდა კოლეგებისა და დირექციის მხარდაჭერას, ხელშეწყობას, წახალისებას – დირექტორმა დაწყებითი კლასების კათედრის ყველა პედაგოგს სამახსოვრო წიგნები გადასცა.

ნინო ლობჯანიძე

სსიპ ოტია იოსლიანის სახ. წყალტუბოს №1 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის კათედრის გამგე

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲙᲝᲜᲙᲘᲓᲐᲜ ᲛᲔᲢᲠᲝᲛᲓᲔ

თბილისში ყველა ქუჩა, აივანი თუ ეზო თავის ისტორიას ინახავს და ამ ისტორიის ერთ-ერთი თანამონაწილე თბილისური ტრანსპორტია. დღეს ტრანსპორტით გადატვირთული დედაქალაქის ქუჩები და საცობები XXI საუკუნის რეალობაა. რეალობა, რომელიც აბსოლუტურად სხვა იყო ორი საუკუნის წინ. XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე თბილისი გალავანშემორტყმული პატარა ქალაქი იყო, ამიტომ შიდა ტერიტორიაზე გადაადგილებისთვის აუცილებელი ტრანსპორტის რაიმე განსაკუთრებულ სახეობას არ იყენებდნენ. გამოიყენებოდა ცხენი, სახედარი, ჯორი, აქლემი, ტვირთის გადასატანად – ურემი ან ჩარდახი. სამდინარო ტრანსპორტი ტივი იყო. უმეტესად მას ბორჯომის ხეობაში კრავდნენ, თბილისში ჩამოცურების შემდეგ კი შეშად შლიდნენ და ყიდდნენ. ნაპირების დასაკავშირებლად გამოიყენებოდა ბორანიც – გაბმული ბაგირის მეშვეობით მოძრავი ტივი, რომელსაც საგანგებო სადგომი ჰქონდა – სატივოები. ბოლო, დიდუბის ბორანი თბილისში 1955 წლამდე ფუნქციონირებდა.

XIX საუკუნეში საგრძნობლად გაიზარდა როგორც თბილისის ფართობი, ისე – მოსახლეობის რაოდენობაც და თანდათან გაჩნდა მგზავრების გრძელ მანძილზე გადაყვანის აუცილებლობაც. ფრანგი კონსული შარლ გამბა წერდა: *„თბილისში ჩამოდიოდნენ ნეგოციანტები პარიზიდან, კურიერები პეტერბურგიდან, ვაჭრები კონსტანტინოპოლიდან, ინგლისელები კალკუტიდან და მადრასიდან, სომხები სმირნიდან და უზბეკები ბუხარიდან. ასე რომ, ეს ქალაქი შეიძლება ჩაითვალოს მთავარ საკვანძო პუნქტად ევროპასა და აზიას შორის“.*

შიდა საქალაქო ტრანსპორტის პირველი სახეობა საუკუნის დასაწყისში ეტლები იყო და მათში ყველაზე გამორჩეული იყო „დროშკა“, რომელიც წარმოადგენდა მსუბუქ ოთხთვალა რკინისბორბლებიან ერთცხენიან ეტლს, რომელიც თანდათან დაიხვეწა, ტყავით და სელის ქსოვილით გადაიხურა. 1824 წლიდან თბილისში გაჩნდა რამდენიმე სადგური, საიდანაც დროშკის აყვანა შეიძლებოდა. სადგურები იყო ერევანსკის, მადათოვის, ალექსანდრეს მოედნებზე და სომხის ბაზარზე. ათწლეულების შემდეგ მსგავსი „ბირჟა“ ვაგზლის მოედანზეც გაჩნდა. ბარონი ტორნაუ, რომელმაც თბილისში 1830-იან წლებში იმოგზაურა, წერდა: *„დროშკები მწკრივად იდგნენ შუა ბაზარში, მადათოვის მოედანზე, ტფილისის მედროშკენი კი ისე დააქროლებდნენ თავიანთ ცხენებს, რომ გამვლელებს შიშის ზარს სცემდნენ.“*

1870 წლისთვის 439 ორცხენიანი, 117 ერთცხენიანი ეტლი და 672 საზიდარი მოძრაობდა ქალაქში. თანდათან გაჩნდა ფაეტონებიც, რომელშიც წყვილი ცხენი იყო შებმული. 1887 წლის აღწერის მიხედვით, თბილისში 520 მეფაეტონე იყო რეგისტრირებული. თუმცა საუკუნის ბოლოს ქალაქი მტკვრის ორივე ნაპირზე ისე გაიჭიმა და გაიზარდა, რომ მხოლოდ ეტლები და ფაეტონები ველარ აუდიოდნენ მგზავრების გადაყვანას. საინტერესოა რა ღირდა იმ დროს ტრანსპორტით გადაადგილება? მაგალითად, ფაეტონით მგზავრობა 60 კაპიკი ღირდა, „დროშკით“ – 40 კაპიკი.

ურმებისა და ფაეტონების შემდეგ, პირველი საზოგადოებრივი ტრანსპორტი – „კონკა“ დედაქალაქში 136 წლის წინ, 1883 წლის 10 მარტს გამოჩნდა. ეს იყო პირველი საზოგადოებრივი ტრანსპორტი. კონკით მგზავრობა 3-5 კაპიკი ღირდა და ჯიბეგაფხეკილი ქართველებისთვის გადასაადგილებლად ძალზე ხელსაყრელი იყო. თბილისის ფართობისა და მოსახლეობის ზრდასთან ერთად ქალაქის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ თბილისში შექმნილიყო საცხენოსნო რკინიგზა, ანუ ე.წ. კონკა.1883 წლის აპრილში გაზეთი „დროება“ წერდა: *„გუშინ ტფილისის საქალაქო მმართველობის დეპუტატთა საგანგებო კომისიამ დაათვალიერა ცხენის რკინიგზა კუკიის ხიდიდან ვაგზლამდე. ცხენის რკინიგზა სრულიად მზად არის. გაიხსნება რამდენიმე დღის შემდეგ. ვაგონები, რომლებიც პირველი რიცხვიდან ივლიან, იტევენ ოც კაცს“.*

რამდენიმე დღის შემდეგ ქალაქის ქუჩებში დაგებულ რელსებზე მოძრაობა დაიწყო კონკამ. პირველი ხაზი მიხეილის გამზირზე (დღევანდელი აღმაშენებლის გამზირი) გადიოდა და ერთმანეთს აკავშირებდა ვორონცოვის მოედანს (ახლანდელი საარბრიუკენის მოედანი) და რკინიგზის ვაგზალს. შემდეგ მარშრუტი გააგრძელეს ერევნის მოედნამდე (ახლანდელი თავისუფლების მოედანი). მოგვიანებით კონკა მოძრაობდა გოლოვინის პროსპექტზეც (რუსთაველის გამზირი) და ვერის ხიდის გავლით გადიოდა კირხეს ქუჩაზე (მარჯანიშვილის ქუჩა). 1899 წელს ტფილისში კონკის 22-კილომეტრიანი ლიანდაგი იყო. თითოეულ ვაგონს დაჰყვებოდა კონდუქტორი, რომელიც ვაგონს მგზავრების მოთხოვნით აჩერებდა. 1904 წლიდან „კონკა“ ელექტროტრამვაიმ ჩაანაცვლა.

ტრამვაის მოდერნიზების სამუშაოები ბელგიელმა სპეციალისტებმა განახორციელეს. 1904 წლის 25 დეკემბერს ამოქმედდა ელექტრო ტრამვაი, რომლის ლიანდაგის სიგანე 1000 მილიმეტრი იყო. ტრამვაი თბილისში 102 წელი დადიოდა და მგზავრების გადაყვანა 2006 წლის 4 დეკემბერს დაასრულა.

ტრამვაის როლი საქალაქო გადაადგილებაში განსაკუთრებით გაიზარდა საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ. 1930-იან წლებში თბილისის ცენტრი მის ახლად გაშენებულ რაიონებს ტრამვაითაც დაუკავშირდა. მნიშვნელოვანია, რომ 1940 წელს თბილისში ტრამვაიმ რეკორდული რაოდენობის მგზავრი გადაიყვანა – 194 მილიონი. ტრამვაის ვაგონები, თავდაპირველად, ორსართულიანი უნდა ყოფილიყო. ასეთ ვაგონებს „იმპერიალს“ ეძახდნენ, მგზავრებს კი – „სამკაპიკიან იმპერიალისტებს“. ქვედა სართულის მგზავრები 5 კაპიკს იხდიდნენ. „იმპერიალს“ ვიწრო, ხრახნილი კიბე ჰქონდა და მეორე სართულზე ქალებს არ უშვებდნენ. ქალაქის თვითმმართველობაში დადგა საკითხი, გაეშვათ თუ არა თბილისში „იმპერიალი“. ერთ-ერთმა დეპუტატმა სხდომაზე გაკვირვებით წამოიძახა – ქალებს რომ შარვალი არ აცვიათ, რა უნდა ჩვენში ორსართულიან ტრამვაისო?! დარბაზი ახარხარდა და გადაწყდა – „იმპერიალი“ თბილისში არ ივლიდა! მაგრამ შარვლიანი ქალი მალე გამოჩნდა თბილისში. პირველ მსოფლიო ომში (1914) გაწვეული მამაკაცების ნაცვლად, ტრამვაის საჭეს ქალი – ელენე დუშევინა მიუჯდა. მას ხშირად უხდებოდა ვაგონის სახურავზე ასვლა და ამიტომაც ეცვა შარვალი. ვაგონებში ხშირად კურიოზული განცხადებები ჩნდებოდა, მაგალითად, ასეთი: *„ვაგონებში იკრძალება ერთ ადგილზე მეტის დაკავება, აგრეთვე, ფეხების მეორე სკამზე შემოწყობა... იატაკზე ან გარეთ გადაფურთხება... ვაგონში შესვლა ეკრძალებათ ჩხუბისთავებსა და მთვრალებს... ასევე, ცხოველების (ძაღლების, ღორების, ძროხების, ცხენების) შეყვანა, რომელთაც მუხლებზე ვერ დაისვამენ და ავიწროებენ მგზავრებს“.*

1985 წლისათვის ქალაქის ტრამვაის ქსელი 100 კილომეტრს აჭარბებდა. ტრამვაის გაუფასურება 1990 წლებიდან იწყება და, საბოლოოდ, 2006 წელს მისი გაუქმებით დამთავრდა.

1933 წელს თბილისის საზოგადოებრივ სატრანსპორტო სისტემას ავტობუსიც დაემატა. პირველივე წელს მგზავრთა რაოდენობამ 1 200 000-ს მიაღწია. 1970 წელს მათთმა რიცხვმა 125 მილიონს გადააჭარბა, მომდევნო ათ წელიწადში კი თითქმის 100 მილიონით გაიზარდა.

ტროლეიბუსი თბილისში 1937 წლიდან გამოჩნდა. ხაზის სიგრძე 15-მდე კილომეტრს შეადგენდა, რაც საბჭოთა კავშირის დამლევს 95-მდე გაიზარდა. ყველაზე დიდი კონკურენცია მას, ტრამვაისთან ჰქონდა, რის შედეგადაც, შეძლო ცენტრალური ქუჩებიდან ტრამვაის განდევნა. ტროლეიბუსებმა არსებობა 2006 წელს შეწყვიტეს.

თბილისის ისტორიაში უპრეცედენტო მასშტაბის პროექტი იყო მეტროპოლიტენის გაყვანა. 1951 წელს ლიკანში მყოფ სტალინს კანდიდ ჩარკვიანი ესაუბრა, თბილისის მოსახლეობა მატულობს, თუ დღესვე არ დავიწყეთ მეტროს მშენებლობა, სატრანსპორტო კოლაფსი შეიქმნებაო. სტალინი დაჰპირდა, საკითხს პოლიტბიუროს სხდომაზე დავაყენებო. 1952 წლის აგვისტოში შეიქმნა თბილგვირაბმშენის სამმართველო და დაიწყო მშენებლობა, რომელიც სტალინის გარდაცვალებისთანავე შეწყდა. ვასილ მჟავანაძის ხელდასხმით, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გივი ჯავახიშვილმა უფლება მისცა თბილგვირაბმშენის ხელმძღვანელ ვიქტორ გოცირიძეს, აეგოთ თავდაცვითი ობიექტები, მაგრამ ისე, რომ მეტროს სტანდარტებს არ დაშორებოდა. წლების შემდეგ მოსკოვის კომისიამ დაადგინა, რომ ეს მშენებლობა საეჭვოდ აგონებდათ მეტროს. მოსკოვში გამოიძახეს გივი ჯავახიშვილი და ვიქტორ გოცირიძე. ისინი წინასწარ სათითაოდ შეხვდნენ ამ პროექტისადმი მეტნაკლებად კეთილად განწყობილ კომისიის წევრებს, ქართული ღვინის თანხლებით ისაუბრეს და დაარწმუნეს, რომ რადგან თანხები იხარჯება, ჯობს აშენდეს ორმაგი დანიშნულების ნაგებობა, სატრანსპორტოც და თავდაცვითიცო. საბოლოოდ, კომისიამ ქართველებისთვის სასურველი დადგენილება მიიღო. 1966 წლის 11 იანვარს გაიხსნა თბილისის მეტროს პირველი უბანი (6 სადგური, რუსთაველიდან დიდუბემდე – „დიდუბე“, „ელექტროდეპო“, „ოქტომბერი“; შემდგომ – „ნაძალადევი“, „ვაგზლის მოედანი“, „მარჯანიშვილი“ და „რუსთაველი“). მეტროპოლიტენის ამოქმედება მართლაც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო არა მარტო ქალაქის ადმინისტრაციისთვის, არამედ მისი მოსახელობისთვის. *„მე, როგორც თბილისის მოტრფიალეს, უეჭველად მახარებს ქართული მეტროს დაბადება. გამოგიტყდებით არც კი მჯეროდა, თუ კონკიდან მეტრომდე ასე მცირე დრო დაგვჭირდებოდა“ (ამონარიდი ვასო გოძიაშვილის მოგონებიდან).*

1979 წელს გაიხსნა საბურთალოს ხაზი. მესამე ხაზის (რუსთაველი-საარბრიუკენის მოედანი-ელია-მეტრომშენი-ვაზისუბანი) მშენებლობა 80-იანი წლების II ნახევარში დაიწყო. განზრახული იყო მოსკოვის პროსპექტისა და ფონიჭალის მიმართულებით გაგრძელებაც, მეორე მხრივ, ის ვაკე-საბურთალო-დიღომი-დიდი დიღმის მიმართულებით უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ საბჭოთა კავშირი დაიშალა და ეს პროექტებიც გაჩერდა.

თბილისური ტრანსპორტის ისტორიაში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საბაგიროს. პირველი საბაგირო გზა თბილისში 1957 წელს შეიქმნა და მან რუსთაველის გამზირი მთაწმინდის პარკთან დააკავშირა. საბაგირო გზის სიგრძე 906 მეტრს შეადგენდა, რომელზეც ორი, 25-ადგილიანი ვაგონი, 6 მეტრ/წამის სიჩქარით მოძრაობდა. 1966 წელს გაიხსნა 1140-მეტრიანი საბაგირო გზა ვაკესა და კუს ტბას შორის. ვახუშტის ხიდის გახსნამდე დიდუბესა და საბურთალოს შორის ასევე ფუნქციონირებდა საბაგირო მიმოსვლა. სულ, 90-იანი წლების დასაწყისამდე, თბილისში 5 ფუნქციონირებადი საბაგირო გზა არსებობდა, რომელთაგანაც ბოლო სამგორსა და ვაზისუბანს შორის გაიხსნა 1986 წელს, ასევე, იყო საბურთალო (ნუცუბიძის ქუჩა)-ლისის ტბა, უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსსა და ბაგების საერთო საცხოვრებელს შორის.

საინტერესოა, როგორ შევა ისტორიაში XXI საუკუნის თბილისური ტრანსპორტი.

მოამზადა **ᲛᲐᲙᲐ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲛᲐ**







წიგნის თარო

გამომცემლობა „ახალი განათლება“ გთავაზობთ

5 ლარი

12 ლარი

10 ლარი

9 ლარი

ქართული ენის გრამატიკა სინტაქსი (სასკოლო კურსი) ნ. შარაშენიძე
8 ლარი



4 ლარი
თამაზ ვასაძე ქართული აბიტურიენტის პრობა ლიტერატურის მეამბავლელთათვის



12 ლარი
თამაზ ვასაძე კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40ლ

„ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ

15 ლარი

19 ლარი

19 ლარი

ეროვნული გამოცდების სიმულაცია
გიორგი მეჭურჭლიშვილი, არჩილ თაბუკაშვილი, კონსტანტინე ბარამია

გავიმეოროთ მათემატიკა (I-II ნაწილი)
წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. მასალა დალაგებულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალგებრისა და სტატისტიკის საკითხები.

ტესტები ქართულ ლიტერატურაში

ეროვნული გამოცდისათვის

წიგნი I
V-XVIII სს მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

პროფესიული უნარები
თეორიული მასალა



15 ლარი

პროფესიული უნარები
ტესტები

15 ლარი

15 ლარი

ტექსტის გააზრება და ანალიტიკური წერა
კრებული მოიცავს მცირე თეორიულ მასალას და პრაქტიკულ სავარჯიშოებს, კერძოდ სხვადასხვა ტესტებს: გასააზრებელ ტექსტებს შეკითხვებით და სავარაუდო პასუხებით, ასევე მხატვრული ტექსტების გააზრების სავარჯიშოებს, ესეს წერის დროს გასათვალისწინებელ თეორიულ მასალას და კონკრეტულ ნიმუშებს.

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

ქართული (I-VI კლასი) მასწავლებელთა გამოცდებისთვის



11 ლარი

ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის

14 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

6 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

6 ლარი

კრებული სრულად ფარავს პროგრამას I-IV კლასების კომბინირებული გამოცდისთვის. მასში 1000-მდე ტესტური დავალებაა პასუხებით და მეთოდური რეკომენდაციებით.

15 ლარი

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №7-8
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

ფასი – 1 ლარი 90 თეთრი

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.